სახალხო ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 297 (11301)
ხუთშაბათი
25
დეკემბერი
1958 წ.

ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოსკოვი, კრემლი, 1958 წლის 22 დეკემბერი. სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა. ტრიბუნაზეა სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრი დეპუტატი ა. გ. ზვერევი.

ფოტო ა. ეგოროვისა და ნ. პეტროვისა.

# კ ა ნ ო ნ ი
## საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

**მუხლი 1.** დამტკიცდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი სსრ კავშირის 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიების მოხსენებათა მიხედვით მიღებული ცვლილებებით, სახელდობრ: სულ შემოსავლის ნაწილში 723.369.159 ათასი მანეთის ოდენობით და სულ გასავლის ნაწილში 707.637.887 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 15.731.272 ათასი მანეთის გადამეტებით.

**მუხლი 2.** დაწესდეს სსრ კავშირის 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან სულ 655.979.124 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 3.** დაწესდეს სსრ კავშირის 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად — მძიმე მრეწველობის, სამშენებლო ინდუსტრიის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი განვითარებისათვის — სულ 308.943.554 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 4.** დაწესდეს სსრ კავშირის 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნებანი სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის — საყოველთაო სწავლების სკოლების, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების, საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების, ბიბლიოთეკების, კლუბების, თეატრების, პრესის, რადიომაუწყებლობისა და განათლების და კულტურის სხვა ღონისძიებებისათვის; საავადმყოფოების, საბავშვო ბაგების, სანატორიუმების, ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის სხვა დაწესებულებებისათვის; პენსიებისა და დახმარებისათვის — სულ 232.191.571 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 5.** დაწესდეს სსრ კავშირის 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნებანი სსრ კავშირის თავდაცვისათვის 96.096.000 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 6.** დაწესდეს სსრ კავშირის 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნებანი სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შესანახავად 11.522.062 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 7.** დამტკიცდეს 1959 წლის საკავშირო ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში 382.375.393 ათასი მანეთის ოდენობით და გასავლის ნაწილში 366.644.121 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 15.731.272 ათასი მანეთის გადამეტებით.

**მუხლი 8.** დაწესდეს მოკავშირე რესპუბლიკების 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტები სულ 343.541.226 ათასი მანეთის ოდენობით. აქედან მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით:

| | (ათას მანეთობით) |
|---|---|
| რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა | 205.394.508 |
| უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 63.129.601 |
| ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 9.861.142 |
| უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 8.664.998 |
| ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 20.893.548 |
| საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 5.768.340 |
| აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 5.286.850 |
| ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 4.264.758 |
| მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 2.538.330 |
| ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 4.086.764 |
| ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 2.989.243 |
| ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 2. 515.114 |
| სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 2.822.200 |
| თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 2.713.563 |
| ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 2.612.267 |

დამტკიცდეს 1959 წლისათვის საერთო-საკავშირო სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლის ანარიცხები მოკავშირე რესპუბლიკათა სახელმწიფო ბიუჯეტებში შემდეგი ოდენობით:

ა) ბრუნვის გადასახადის შემოსავლიდან: რუსეთის სფს რესპუბლიკა — 26,4 პროცენტი, უკრაინის სსრ — 30,5 პროცენტი, ბელორუსიის სსრ — 42,5 პროცენტი, უზბეკეთის სსრ — 29,7 პროცენტი, ყაზახეთის სსრ — 100,0 პროცენტი, საქართველოს სსრ — 53,2 პროცენტი, აზერბაიჯანის სსრ — 53,9 პროცენტი, ლიტვის სსრ — 72,7 პროცენტი, მოლდავეთის სსრ — 17,6 პროცენტი, ლატვიის სსრ — 25,0 პროცენტი, ყირგიზეთის სსრ — 77,6 პროცენტი, ტაჯიკეთის სსრ — 57,0 პროცენტი, სომხეთის სსრ — 62,3 პროცენტი, თურქმენეთის სსრ — 75,5 პროცენტი, ესტონეთის სსრ — 50,5 პროცენტი;

ბ) მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადის შემოსავლიდან — 50 პროცენტი;

გ) თანხიდან, რომელსაც სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროები ათავსებენ სახელმწიფო სესხში 1959 წლის ანაბრების ნაშთის მატების ხარჯზე, და 1959 წელს 3-პროცენტიანი სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის გავრცელების თანხიდან — 50 პროცენტი.

სსრ კავშირის უცოლშვილო-უქმარშვილო, მარტოხელა და მცირეოჯახიანი მოქალაქეების გადასახადიდან შემოსული თანხები, დაწყებული 1959 წლის 1 იანვრიდან, ისევე როგორც კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადის, სასოფლო-სამეურნეო გადასახადისა და სატყეო შემოსავლიდან შემოსული თანხები მთლიანად ჩაირიცხოს მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტებში.

გამოეყოს 1959 წელს ყაზახეთის სსრ ბიუჯეტს საკავშირო ბიუჯეტის სახსრებიდან 2.547.460 ათასი მანეთი იმ ღონისძიებათა დაფინანსების უზრუნველსაყოფად, რომლებიც გათვალისწინებულია სახალხო მეურნეობის განვითარების 1959 წლის გეგმით.

**მუხლი 9.** დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შეიტანოს შესწორებანი სსრ კავშირის 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში, რომლებიც გამომდინარეობენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959 წლისათვის დამტკიცებული გეგმიდან, აგრეთვე გაითვალისწინოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების პროცესში შესწორებანი, რომლებიც დაკავშირებულია იმასთან. რომ 1959 წლის 1 იანვრიდან შემოღებულ იქნება, პურის პროდუქტების, საფურაჟე მარცვლეულის, კომბინირებული საკვებისა და ზეთოვანთა თესლის ახალი საბითუმო ფასები.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. ვოროშილოვი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1958 წლის 23 დეკემბერი.

# ს ს რ  კ ა ვ შ ი რ ი ს  უ მ ა ღ ლ ე ს ი  ს ა ბ ჭ ო ს  დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა
## სსრ კავშირის 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სსრ კავშირის 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შემოსავლის ნაწილში 626.914.499 ათასი მანეთის ოდენობით და გასავლის ნაწილში 607.314.829 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 19.599.670 ათასი მანეთის გადამეტებით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. ვოროშილოვი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი, 1958 წლის 23 დეკემბერი.

# ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო  ც ნ ო ბ ა
## ს ს რ  კ ა ვ შ ი რ ი ს  უ მ ა ღ ლ ე ს ი  ს ა ბ ჭ ო ს
## 1958 წლის 23 დეკემბრის სხდომის შესახებ

23 დეკემბერს 16 საათზე კრემლის დიდი სასახლის სხდომათა დარბაზში გაიხსნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს **კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს** გაერთიანებული სხდომა. ესწრებიან ბევრი სტუმარი, დიპლომატიური კორპუსის წევრები. მთავრობის ლოჟებში არიან ამხანაგები **ა. ბ. არისტოვი, ნ. ი. ბელიაევი, ლ. ი. ბრეჟნევი, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. გ. იგნატოვი, ფ. რ. კოზლოვი, ო. ვ. კუუსინენი, ა. ი. მიქოიანი, ნ. ა. მუხიტდინოვი, მ. ა. სუსლოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი, პ. ნ. პოსპელოვი, დ. ს. კოროტჩენკო, ი. ე. კალნბერზინი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ვ. პ. მჟავანაძე, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი,** რომელთაც დეპუტატები და სტუმრები მქუხარე ტაშით ხვდებიან.

თავმჯდომარეობს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **პ. პ. ლობანოვი.**

სესია იწყებს დღის წესრიგის მეორე საკითხის განხილვას ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცება და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარება ჩვენს ქვეყანაში.

ზოგადი საშუალო განათლების გარდაქმნის შესახებ მოხსენება გააკეთა რუსეთის სფსრ პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა **ი. ა. კაიროვმა,** პროფესიულ-ტექნიკური განათლების შესახებ მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული შრომითი რეზერვების მთავარი სამმართველოს უფროსმა **გ. ი. ზელენკომ.**

უმაღლესი განათლების შესახებ მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის უმაღლესი განათლების მინისტრმა **ვ. პ. ელიუტინმა.** (საკდესი).

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფის შეკითხვა სსრ კავშირის მთავრობისადმი ბერლინის საკითხზე

ამა წლის 27 ნოემბერს საბჭოთა კავშირის მთავრობამ ბერლინის საკითხზე ნოტით მიმართა ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებს, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობებს. ეს ნოტა შეიცავდა საბჭოთა კავშირის მთავრობის წინადადებას დასავლეთ ბერლინის დემილიტარიზებულ თავისუფალ ქალაქად გადაქცევის შესახებ.

რამდენადაც ჩვენ ვიცით, დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობებს ჯერ კიდევ არ მოუციათ პასუხი საბჭოთა კავშირის მთავრობის ამ მიმართვაზე. ამავე დროს დასავლეთის სახელმწიფოთა სახელმწიფო მოღვაწეები ამახინჯებენ საბჭოთა კავშირის მოქმედების მოტივებს და ისწრაფვიან რადაც უნდა დაუჯდეთ შეინარჩუნონ საოკუპაციო რეჟიმი დასავლეთ ბერლინში.

ჩვენ ვთხოვთ მთავრობას აცნობოს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობების დამოკიდებულება საბჭოთა მთავრობის წინადადებებისადმი ბერლინის საკითხზე და ის, თუ როგორია ბერლინის საკითხთან დაკავშირებით ამჟამად შექმნილი მდგომარეობა.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები:
ვ. ვ. გრიშინი, ვ. ი. ჩუიკოვი, ლ. ი. ანანიევა, ა. ა. სურკოვი, მ. ფ. რილსკი, ხ. ტურსუნკულოვი.**

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფის შეკითხვა სსრ კავშირის მთავრობისადმი ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხზე

ამა წლის 31 მარტს სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება საბჭოთა კავშირის მიერ ცალმხრივი წესით ყველა სახეობის ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ. მაშინვე სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიანდო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიემართა სხვა სახელმწიფოთა მთავრობებისადმი, რომელთაც აქვთ ატომგულის იარაღი, მოწოდებით მიეღოთ ანალოგიური ღონისძიებანი, რათა უზრუნველყოფილიყო ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტა **ყველგან და სამუდამოდ.**

ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებმა არა მარტო არ შეასრულეს საბჭოთა მთავრობის ეს მოწოდება, არამედ დაიწყეს ატომგულის იარაღის გამოცდის ყველაზე დიდი სერია, რის შედეგადაც საბჭოთა კავშირი თავისი უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის იძულებული გახდა განეახლებინა ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდა.

ამჟამად ჟენევაში მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელთა თათბირი, რომელიც მუშაობს ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხის განხილვაზე. პრესაში გამოქვეყნებული ცნობების მიხედვით, დღემდე მიღწეული არ არის შეთანხმება ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ, უფრო მეტიც, არის ცნობები, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთს დღემდე არც კი განუცხადებიათ ამ სახელმწიფოთა მთავრობების თანხმობა დადონ შეთანხმება ატომგულის იარაღის გამოცდის სამუდამოდ შეწყვეტის შესახებ.

ჩვენ ვთხოვთ მთავრობას აცნობოს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს რა მდგომარეობაშია ამჟამად ატომური და წყალბადის ბომბების გამოცდის შეწყვეტის საკითხზე მოლაპარაკების საქმე და როგორია მთავარი დაბრკოლებანი, რომლებიც დგანან ამ საკითხის შესახებ შეთანხმების მიღწევის გზაზე.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები:
ა. ნ. ბაკულევი, ზ. ა. ლებედევა, ლ. ნ. სოლოვიოვი, ი. ნ. სტეცი. ა. მ. გორევი. ი. ა. ბუიანოვი, ა. ვ. პალადინი, ო. დაურენოვა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

## ზოგადი საშუალო განათლების გარდაქმნის შესახებ

### ი. ა. კაიროვის მოხსენება

[illegible] აგრეთვე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თეზისები სკოლის გარდაქმნის შესახებ.

ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა კომკავშირის XIII ყრილობაზე, ამხანაგ ხრუშჩოვის ბარათი „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ ჩვენს ქვეყანაში", საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თეზისები სკოლის შესახებ უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტებია, რომლებიც სახავენ საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების გარდაქმნის გზებს კომუნისტური მშენებლობის ახალი ეტაპის მოთხოვნილებებისა და პერსპექტივების შესაბამისად. განავითარებენ რა მოზარდი თაობის აღზრდის ლენინურ იდეებს, ეს დოკუმენტები კვლავ მკაფიოდ მოწმობენ, რომ პარტია მამობრივად ზრუნავს სახალხო განათლების ბედისათვის, მისი შემდგომი აღმავლობისათვის.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცების შესახებ თეზისების განხილვამ ჭეშმარიტად საყოველთაო სახალხო ხასიათი მიიღო — რუსეთის სფს რესპუბლიკაში, არასრული მონაცემებით, გაიმართა 199 ათასი კრება, რომლებსაც დაესწრო 13 მილიონზე მეტი კაცი. გამოვიდა დაახლოებით მილიონი კაცი. უკრაინაში გაიმართა 90 ათასზე მეტი კრება და აქტივი, რომლებსაც დაესწრო დაახლოებით 10 მილიონი კაცი და სადაც გამოვიდა 500 ათასზე მეტი კაცი, ასე იყო ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში. საბჭოთა ადამიანები მხურვალედ უჭერენ მხარს და იწონებენ რა თეზისებს, განსაკუთრებული კმაყოფილებით ხვდებიან სკოლის გარდაქმნის ძირითად იდეას — მწარმოებლური შრომისა და სწავლების შეერთების, ცხოვრებასთან სკოლის კავშირის პრინციპის განხორციელებას, საშუალო სკოლაში ზოგადი პოლიტექნიკური და პროფესიული განათლების შეხამებას.

თეზისებს სკოლის შესახებ ცხოვლად დადებითად გამოეხმაურნენ მშობლები, მასწავლებლები, უფროსი კლასის მოსწავლეები — მთელი საბჭოთა ხალხი. ზოგიერთი ამხანაგის გამოსვლებში, განაგრძობს მომხსენებელი, მთელი რიგი სამართლიანი კრიტიკული შენიშვნები გამოითქვა განათლების სამინისტროების, პედაგოგიკის მეცნიერების მოღვაწეების მიმართ იმის შესახებ, რომ იჩენენ სინელეს და დროულად ვერ აყენებენ შრომითი აღზრდის, პოლიტექნიკური განათლების საკითხებს, აგრეთვე ამჟამად მოქმედი პროგრამებისა და სახელმძღვანელოების ნაკლოვანებათა შესახებ და სხვ.

ამხ. კაიროვი ამბობს, რომ საბჭოთა სკოლამ დიდი წვლილი შეიტანა მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმესა და ჩვენს საზოგადოებაში სოციალისტური იდეოლოგიის დამკვიდრებაში. დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე რუსეთის მოსახლეობის სამი მეოთხედი უწიგნური იყო, ბავშვები და მოზარდების დაახლოებით ოთხი მეხუთედი სკოლებში არ სწავლობდა. მოკლე ისტორიულ ვადებში საბჭოთა ხელისუფლებამ აღმოფხვრა ჩვენი ქვეყნის საუკუნეობრივი კულტურული ჩამორჩენილობა. საშუალო სკოლის უფროსი კლასების მოსწავლეთა რიცხვი ახლა თითქმის ორმოცჯერ გაიზარდა. საბჭოთა სკოლამ ხელი შეუწყო ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ხალხთა კულტურის აღმავლობას. ახლა ყველა მათგანს აქვს სკოლა დედაენაზე. ყველა მათგანისათვის ახსნილია განათლებისა და კულტურის ფართო გზა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში სხვადასხვა სასწავლებლის მოსწავლეთა რიცხვი გაიზარდა ყირგიზეთის სს რესპუბლიკაში 50-ჯერ, უზბეკეთის სს რესპუბლიკაში — 84-ჯერ, ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში — [illegible]

ლე მოდიოდა, გოგონები კი როგორც წესი, თითქმის სავსებით მოკლებული იყვნენ განათლებას. ახლა ყაზახეთში არის 9.915 სკოლა, რომლებშიც სწავლობს 1.425.280 კაცი, აქედან 670 ათასი გოგონა. კულტურული რევოლუციის გამარჯვება სსრ კავშირში მიღწეულია იმის მეოხებით, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ზრუნავენ მოზარდი თაობის აღზრდისა და განათლებისათვის, იმის მეოხებით, რომ მუშები და კოლმეურნეები გმირულად შრომობენ და დაუცხრომელ მშრომელთა — მასწავლებელთა მეცადინეობის მეოხებით, რომელნიც ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყველა კუთხეში, ზოგჯერ ძნელ პირობებში, ახორციელებენ დიდ, საპატიო და პასუხსაგებ საქმეს — ბავშვების აღზრდას.

შეიძლება დაისვას კითხვა: თუ საბჭოთა სახალხო განათლებამ ასეთი წარმატებანი მოიპოვა, რაღა საჭიროა მისი რეფორმა? ჩვენ სკოლას იმიტომ კი არ გარდავქმნით, რომ იგი ცუდია, არამედ იმიტომ, რომ ცხოვრება წინ მიდის და სკოლა უნდა შეესაბამებოდეს ჩვენი ქვეყნის განვითარების ახალი პერიოდის — კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდის ამოცანებს. ამისათვის საჭიროა აღვზარდოთ ყოველმხრივ განვითარებული და განათლებული ადამიანები, კომუნისტური შეგნებისა და ქცევის ადამიანები, წარსულის გადმონაშთებისაგან თავისუფალი ადამიანები. მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ ამ ამოცანის გადაწყვეტის აუცილებელი პირობაა თანდათანობით მოისპოს გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავება, რომელიც ადამიანებს ხდის ცალმხრივს, ართმევს მათ ჰარმონიული განვითარების შესაძლებლობას.

წარმოების მექანიზაციის, ავტომატიზაციის წარმატებითი განვითარება, ელექტრონიკის ფართო გამოყენება და მეცნიერებისა და ტექნიკის სხვა მიღწევები ძირეულად ცვლიან შრომის ხასიათს. მუშებისა და კოლმეურნეების შრომა თავისი არსებით სულ უფრო უახლოვდება ინჟინრის, ტექნიკოსის, აგრონომისა და სხვა სპეციალისტთა შრომას. საბჭოთა კავშირის ტექნიკურ-ეკონომიური განვითარების პერსპექტივები სულ უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებენ ჩვენი საზოგადოების ყველა მშრომელს. მრავალმხრივი განათლება მათთვის საარსებო მოთხოვნილება ხდება.

ჩვენ ვერ ავარიდებთ თვალს ჩვენს სკოლაში არსებულ ნაკლოვანებებს, ამბობს მომხსენებელი. ერთ-ერთი ასეთი ნაკლია უწინარეს ყოვლისა ის, რომ სწავლება მოწყვეტილია ცხოვრებას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თეზისებს სკოლის გარდაქმნის შესახებ წითელ ზოლად გასდევს შრომისათვის მოსწავლეთა მომზადების მოთხოვნა, სწავლების შეერთება მწარმოებლურ შრომასთან.

პარტიის XX ყრილობის შემდეგ გადაიდგა ზოგიერთი ნაბიჯი მოსწავლეთა შრომითი და პოლიტექნიკური სწავლების გასაუმჯობესებლად. რუსეთის სფსრ 200 სკოლაში დაყენებულია მოსწავლეთა სწავლებისა და მწარმოებლური შრომის შეერთების ცდა. მთელ რიგ მხარეებსა და ოლქებში სტავროპოლის მხარისა და რიაზანის ოლქის მაგალითისამებრ მოწყობილია მოსწავლეთა ბრიგადები და სასწავლო-საცდელი მეურნეობანი. უკრაინისა და მთელი რიგი სხვა მოკავშირე რესპუბლიკის სკოლებში შექმნილია კლასები საწარმოო სწავლებით — მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. მეტი წილი სკოლები ჯერ კიდევ ძველებურად მუშაობენ.

ახასიათებს რა სკოლის გარდაქმნის გზებს, მომხსენებელი მოაგონებს დამსწრეთ კ. მარქსის გამონათქვამს იმის შესახებ, რომ განათლებისა და მწარმოებლური შრომის შეერთება სოციალისტურ საზოგადოებაში არა მარტო საზოგადოებრივი წარმოების ამაღლების საშუალებაა, არამედ ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის აღზრდის ერთადერთი მეთოდიც არის. რომ საჭიროა სწავლებისა და მწარმოებლური შრომის შეერთება, ეს არა ერთხელ აღუნიშნავს ვ. ი. ლენინს. პირველი კლასიდანვე უნდა ვამზა- [illegible]

ლურ ფასეულობათა შექმნაში. ადამიანები შრომას უნდა შევაჩვიოთ ასაკის მიხედვით. უმცროს ასაკში ეს იქნება შრომის გაკვეთილები სკოლის სახელოსნოებში, სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე, სკოლაში და შინ. შემდეგ ამას თანდათანობით უერთდება საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომა. უფროს კლასებში გადასვლის კვალობაზე მოსწავლის მონაწილეობას საზოგადოებრივ-სასარგებლო მწარმოებლურ შრომაში უფრო რთული და სისტემატური ხასიათი უნდა ჰქონდეს.

შემდეგ მომხსენებელი ახასიათებს ზოგადი განათლების დასახულ სისტემას და სკოლების ტიპებს. განზრახულია საშუალო განათლება გაიყოს ორ ეტაპად. პირველი ეტაპი იქნება სავალდებულო რვაწლიანი სკოლა, რომელიც იქმნება ახლანდელი შვიდწლიანი სკოლის ნაცვლად.

მეორე ეტაპი განხორციელდება რამდენიმე გზით. პირველი მათგანია გზა, როცა ახალგაზრდობა რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ მიდის წარმოებაში, იღებს პირველდაწყებით საწარმოო მომზადებას პროფესიულ სკოლაში, ბრიგადული შეგირდობის ან მოკლევადიანი კურსების გავლით, ხოლო შემდეგ წარმოებას მოუწყვეტლივ სწავლობს მუშა ახალგაზრდობის ან სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში.

მეორე გზაა, როცა ახალგაზრდობა, რომელმაც რვაწლიანი სკოლა დაამთავრა, შედის საშუალო ზოგად საგანმანათლებლო შრომითს პოლიტექნიკურ სკოლაში, რომელშიც შემოღებულია საწარმოო სწავლება.

მესამე გზაა, როცა ახალგაზრდობა, რომელმაც რვაწლიანი სკოლა დაამთავრა, შედის საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სკოლებში, ტექნიკუმებსა და სასწავლებლებში.

კიდევ უფრო განვითარდება სკოლა-ინტერნატები. სკოლა-ინტერნატებში მოსწავლეთა რიცხვი 1958 წლის 180 ათასი კაციდან გადიდდება 2,5 მილიონამდე 1965 წელს, ესე იგი 14-ჯერ.

ზოგიერთი ამხანაგი შიშს გამოთქვამდა, ვაი თუ ჩვენს ქვეყანაში სკოლის რეფორმასთან დაკავშირებით ზოგადი განათლების გაქანება შემცირდესო. ასეთი საშიშროება არ არის, ამბობს ამხ. კაიროვი. ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, მათ შორის მოზრდილთა სკოლებში, მოსწავლეთა საერთო რიცხვი 1965 წელს დაახლოებით 45,3 მილიონ კაცს შეადგენს, ნაცვლად 31,6 მილიონი კაცისა 1958 წელს, ესე იგი გადიდდება 43 პროცენტით. მაშასადამე, დასახულია დიდი ზრდა და არა შემცირება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თეზისებში სკოლის შესახებ ხაზგასმულია, რომ საშუალო განათლების მეორე ეტაპის ყველა სკოლაში არა მარტო შენარჩუნებულ უნდა იქნას, არამედ კიდევაც უნდა ამაღლდეს ზოგადი და პოლიტექნიკური განათლების დონე, რომელიც ახლა დაწესებულია ათწლიან სკოლაში.

შემდეგ ამხ. კაიროვი ამბობს, რომ საჭიროა სერიოზული ცვლილება შევიტანოთ სკოლის აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციაში. გადაჭრით გავაუმჯობესოთ მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდა. იგი ლაპარაკობს სკოლის პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაზე, მასწავლებლის გაზრდილ როლზე, მშობელთა, აგრეთვე ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების პასუხისმგებლობაზე ბავშვთა სწავლებისა და აღზრდისათვის.

ეხება რა პედაგოგიკის მეცნიერების საკითხებს, მომხსენებელი სამართლიანად ცნობს მტკიცებას, რომ პედაგოგიკის მეცნიერება ჯერ კიდევ ვერ წყვეტს ცხოვრების მიერ წამოყენებულ ბევრ ძირეულ პრობლემას. რუსეთის სფსრ პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემია ყოველ ღონეს იხმარს, აცხადებს იგი, რათა აღმოფხვრას თავისი მუშაობის ნაკლოვანებანი, ქმედითს მონაწილეობას მიიღებს სახალხო განათლების სისტემის გარდაქმნაში.

შემდეგ ამხ. კაიროვი ახასიათებს ცალკეულ წინადადებებს, რომლებიც მშრომელებმა შეიტანეს სკოლის გარდაქმნის შესახებ თეზისების განხილვის დროს.

მოხსენების დასასრულს იგი ამბობს, რომ საბჭოთა კავშირის ყველა ეროვნების მშრომელთა განათლების შემდგომი აღმავლობა არის უახლოესი პერიოდის უმნი- [illegible]

## პროფესიულ-ტექნიკური განათლების შესახებ

### გ. ი. ზელენკოს მოხსენება

პროფესიულ-ტექნიკური განათლების ძირეული გაუმჯობესებისა და მნიშვნელოვანი გაფართოების საჭიროება, ამბობს ამხ. გ. ი. ზელენკო, გამომდინარეობს სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების განსახილველი საკითხის მთავარი იდეიდან — საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომასთან ახალგაზრდობის სწავლების შეერთების იდეიდან, რომელიც ჩამოყალიბებულია ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის ბარათში. პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ღონისძიებებს ახალგაზრდობის პროფესიულ-ტექნიკური განათლების შემდგომი გაფართოების, მისი გაუმჯობესებისა და მოწესრიგებისათვის მხურვალედ დაუჭირეს მხარი საყოველთაო სახალხო განხილვის მსვლელობაში.

საბჭოთა პროფესიულმა სკოლამ დიდი და სახელოვანი გზა განვლო. მრავალმა ათობით მილიონმა კვალიფიციურმა მუშამ პროფესიული მომზადება მიიღო ასეთ სკოლაში. მარტო შრომითი რეზერვების სასწავლებლებში მათი არსებობის 18 წლის განმავლობაში მომზადდა 10.250 ათასი ახალგაზრდა მუშა.

ამავე დროს მუშათა კადრების პროფესიული მომზადების ახლა არსებული სხვადასხვა ფორმა ჩამორჩება სახალხო მეურნეობის გაზრდილ მოთხოვნებს. პროფესიული განათლების სისტემის სასწავლო გეგმები და პროგრამები ხშირად არ ასახავენ საწარმოთა ტექნიკური დონის ცვლილებებს, ხოლო მუშათა მომზადების ხარისხი ყოველთვის როდი აკმაყოფილებს მრეწველობის მოთხოვნილებებს.

ტექნიკურ პროგრესს ბევრი რამ ახალი შეაქვს მუშათა პროფესიულ-კვალიფიკაციურ შემადგენლობაში: ისპობა ხელის შრომის პროფესიები, ჩნდება ახალი სპეციალობები, ფართოვდება მუშათა პროფესიული პროფილი, იზრდება მოთხოვნები მათი ტექნიკური მომზადებისა და კვალიფიკაციის დონისადმი.

მომავალ შვიდწლედში ფართოდ განხორციელდება კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია მანქანათმშენებლობაში. დასახულია ამუშავდეს სულ ცოტა 1.300 ახალი ავტომატური ხაზი. ეს ნიშნავს, რომ მანქანათსაშენებელი საწარმოების მუშათა წამყვანი ჯგუფები გახდებიან მოწყობილობის გამმართველები, ელექტრომონტიორები, ზეინკალ-შემკეთებლები, მუშები დაკავშირებული იქნებიან რთული და სხვადასხვა ტიპის ჩარხების მნიშვნელოვანი რაოდენობის მომსახურებასთან, სადაც გამოყენებულია ელექტროავტომატიკა, ჰიდრავლიკა, მოდერნიზებული ელექტროამძრავი.

შემდეგ ამხ. ზელენკო ლაპარაკობს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის გარდაქმნის კონკრეტულ საკითხებზე. იგი ითვალისწინებს ერთიანი ტიპის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელთა შექმნას. ეს იქნება ქალაქთა შრომითი რეზერვების პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები ერთიდან სამ წლამდე სწავლების ვადით, ხოლო სოფელ ადგილებში — სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები 1-2 წლის სწავლების ვადით.

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები დასპეციალდებიან წარმოების დარგების მიხედვით და მოამზადებენ გარკვეული პროფესიების კვალიფიციურ მუშებს მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, კომუნალური მეურნეობის, სავაჭრო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ორგანიზაციების საწარმოებისათვის. მხედველობაშია მიღებული შეიქმნას მელითონეების, მაღაროელების, მეტალურგების, ენერგეტიკოსების, ქიმიკოსების, მშენებლების, რკინიგზის, წყლის, საავტომობილო ტრანსპორტის, ფეიქრებისა და სხვ. სპეციალიზებული სასწავლებლები.

დასახულია ახალ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში სულ მომზადდეს 800-ზე მეტი ძირითადი პროფესიის სოფლის მეურნეობის კვალიფიციური მუშა და მშრომელი.

სასწავლებელთა სპეციალიზაცია შესაძლებლობას მოგვცემს შევქმნათ იქ კარგი სასწავლო-საწარმოო ბაზა, შევარჩიოთ და შევინარჩუნოთ საწარმოო სწავლების ოსტატებისა და მასწავლებელთა კადრები. მომხსენებელი ლაპარაკობს, რომ სახალხო მეურნეობის საბჭოებმა, საწარმოებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ყოველმხრივი დახმარება უნდა გაუწიონ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს საწარმოო პრაქტიკის მოწყობაში, ახალი ტექნიკის შესწავლაში, ყველა პირობის შექმნაში ახალგაზრდა მუშების მომზადების მაღალი ხარისხისათვის. თავის მხრივ სასწავლებლები მოვალენი არიან ხელი შეუწყონ საწარმოებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს საწარმოო გეგმების შესრულებაში, ყოველდღიური კავშირი იქონიონ მათთან.

მომხსენებელი წინადადებას აყენებს უახლოესი სამი-ექვსი წლის განმავლობაში შენარჩუნებულ იქნას შრომითი რეზერვების მოქმედი სასწავლებლებისა და სკოლების ნაწილი, რათა შესაძლებლობა მიეცეს ახალგაზრდობას, რომელიც ამ წლებში დაამთავრებს ათწლედს, შევიდეს ტექნიკურ სასწავლებლებში, ხოლო მოზარდები, რომლებიც რაიმე მიზეზით ვერ დაამთავრებენ რვაწლიან სკოლას, მოხვდნენ სახელოსნო სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ პროფესიულ სასწავლებელთა მუშაობის გარდაქმნის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი პირობაა მოსწავლეთა სწავლების ორგანიზაციისა და მეთოდების გაუმჯობესება.

საჭიროა უაღრესად სერიოზული ყურადღება მიექცეს სასწავლებლებში სასწავლო სახელოსნოების, კაბინეტებისა და ლაბორატორიების მოწყობას, სადაც მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებათ დაეუფლონ პროფესიული ოსტატობის საფუძვლებს, შეისწავლონ თანამედროვე მანქანებისა და მექანიზმების მოწყობილობა და მუშაობის პრინციპები, ტექნოლოგიური პროცესების ფიზიკური არსი. განსაკუთრებით საჭიროა ლაბორატორიულ სამუშაოთა დიდი კურსი ისეთი პროფესიების მომზადების დროს, რომლებიც დაკავშირებულია ელექტრო-რადიოტექნიკური, ელექტრონული და ქიმიური მოწყობილობის მომსახურებასთან. თეორიული საგნების უფრო ღრმა შესწავლისათვის საჭიროა ძირეულად გაუმჯობესდეს სახელმძღვანელოების, სასწავლო და თვალსაჩინო ხელსაწყოების გამოცემის საქმე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისათვის. სასწავლო პროცესში ფართოდ უნდა გამოვიყენოთ კინო და ტელევიზია.

პროფესიულ მომზადებასთან ერთად საჭიროა გავაძლიეროთ მოსწავლეთა პოლიტიკური განათლება, აღვზარდოთ ისინი საბჭოთა პატრიოტიზმის, გმირი მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის რევოლუციური და შრომითი ტრადიციების სულისკვეთებით.

მშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება და პროფესიული განათლების მკვეთრად მზარდი მასშტაბი, ამბობს მომხსენებელი, ქმნიან პირობებს იმისათვის, რომ შევამციროთ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მოსწავლეთა შენახვისა და სწავლების ღირებულება, რათა თანდათანობით გადავიყვანოთ სასწავლებლები ნაწილობრივ თვითანაზღაურებაზე. შრომითი რეზერვების მთავარმა სამმართველომ უნდა გააფართოოს პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელთა საწარმოო საქმიანობა, აამაღლოს მათი შემოსავლიანობა, შეამციროს არამწარმოებლური ხარჯები.

ნაცვლად იმისა, რომ მოსწავლეებს უფასო კვება და ტანსაცმელი ვაძლიოთ, მიზანშეწონილია შემოვიღოთ მათთვის მოწაფის სტიპენდიის ან ხელფასის მიცემა. ეს გააძლიერებს მოსწავლეთა დაინტერესებას პროფესიის უკეთ დაუფლებით. სრული სახელმწიფო უზრუნველყოფა უნდა დარჩეს ობოლი მოსწავლეებისათვის, საბავშვო სახლების აღსაზრდელებისა და მრავალშვილიან მშობელთა ბავშვებისათვის.

მიზანშეწონილია, რომ კოლმეურნეობებმა განიხილონ საკითხი იმის შესახებ, რომ გამოიყოს სახსრები კოლმეურნე ახალგაზრდობის სწავლებისათვის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, იმ ვარაუდით, რომ ეს ახალგაზრდობა მაღალ კვალიფიკაციას მიიღებს და შემდეგ კვლავ დაბრუნდება კოლმეურნეობებში.

მომხსენებლის წინადადებაა დღის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებთან ერთად და მათ ბაზაზე გაიშალოს პროფესიული სასწავლებლების საღამოს განყოფილებათა ფართო ქსელი.

დიდმნიშვნელოვანი საკითხია ინჟინერ-პედაგოგთა კადრების მომზადება. უნდა შეიქმნას ინჟინერ-პედაგოგთა ფაკულტეტები და ინჟინერ-პედაგოგთა უმაღლესი კურსები ინდუსტრიულ ინსტიტუტებსა და სხვა უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებთან.

ამთავრებს რა თავის მოხსენებას ამხ. ზელენკო პირობას აძლევს უმაღლეს საბჭოს, რომ პროფესიული სასწავლებლების მუშაკთა მრავალათასიანი კოლექტივი მთელ თავის ძალებს, ცოდნასა და გამოცდილებას იმას მოახმარს, რომ პირნათლად შეასრულოს პასუხსაგები ამოცანები მოზარდი თაობის პროფესიულ-ტექნიკური განათლებისა და კომუნისტურად აღზრდის დარგში, ამოცანები, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დასახეს.

## უმაღლესი განათლების შესახებ

### ვ. პ. ელიუტინის მოხსენება

კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, ამბობს მომხსენებელი, შეიმუშავეს უმაღლესი განათლების სისტემის სრულყოფის ღონისძიებანი, რომლებიც ჩამოყალიბებულია თეზისებში „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ ჩვენს ქვეყანაში".

თეზისების საყოველთაო სახალხო განხილვამ გვიჩვენა, რომ საბჭოთა ხალხი იწონებს სახალხო განათლების სისტემის გარდაქმნის დასახულ გზებს, მხურვალედ უჭერენ მხარს და ერთსულოვნად იწონებენ დასახულ ღონისძიებათა ძირითად პრინციპს — განათლების ყველა ეტაპზე თეორიული სწავლებისა და მწარმოებლური შრომის ჰარმონიული შეერთების პრინციპს, როგორც ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის აუცილებელ პირობას.

თეზისების საყოველთაო სახალხო განხილვის მსვლელობაში შემოტანილია ბევრი ძვირფასი წინადადება და დამატება.

სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების გეგმები, აღნიშნავს ამხ. ელიუტინი, ახალი დადასტურებაა სოციალისტური წყობილების დიდი უპირატესობისა, რომელმაც პროგრესის გზა გახსნა არა მარტო მატერიალური წარმოების სფეროში, არამედ საზოგადოების სულიერ ცხოვრებაშიც. ახლა საბჭოთა კავშირში დაახლოებით 7,5 მილიონი სპეციალისტია, რომლებსაც უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება აქვთ, მაშინ როცა 1913 წელს ასეთი სპეციალისტი 200 ათასზე ნაკლები იყო. საბჭოთა უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში სწავლობს ოთხ მილიონზე მეტი კაცი, აქედან უმაღლეს სასწავლებლებში — 2.150 [illegible] 260-290 ათასი [illegible]

ლო მომავალში უმაღლესი სკოლის ყოველწლიური გამოშვება შეადგენს 300-350 ათასს, აქედან 120 ათასზე მეტ ინჟინერს.

აღვნიშნავთ რა საბჭოთა უმაღლესი სკოლის წარმატებებს, აცხადებს ორატორი, არ შეგვიძლია არ დავინახოთ მისი საქმიანობის ნაკლოვანებანიც. მთავარი ნაკლია უმაღლესი სკოლის გარკვეული მოწყვეტა ცხოვრებისაგან, წარმოებისაგან, რაც თავს იჩენს როგორც მის დაკომპლექტებაში, ისევე თვით სწავლების პროცესში. უმაღლესი სასწავლებლები იღებენ ბევრ ისეთ პირს, რომლებსაც, გარდა წიგნური ცოდნის განსაზღვრული მარაგისა, არა აქვთ პრაქტიკული მუშაობის რაიმე გამოცდილება და არა აქვთ ფიზიკური შრომის ჩვევები. თვით სწავლების პროცესში უმაღლესი სასწავლებლები არ უთმობენ ჯეროვან ყურადღებას იმას, რომ სტუდენტებმა აითვისონ პრაქტიკული გამოცდილება, რაც დაგროვილია წარმოებასა და სამეცნიერო დაწესებულებებში.

პარტიის XX ყრილობამ უმაღლესი სკოლის მუშაკებს დაუსახა როგორც მთავარი ამოცანა — სპეციალისტთა მომზადების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესება პრაქტიკასთან, წარმოებასთან სწავლების მჭიდრო კავშირის საფუძველზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თეზისები გვიჩვენებენ სწავლის პროცესის გაუმჯობესების კონკრეტულ გზებს, რომლებიც უზრუნველყოფენ უმაღლესი სკოლის ნამდვილ კავშირს ცხოვრებასთან, წარმოებასთან.

უმაღლეს სასწავლებლებში დამკვიდრებული სამი ფორმის სწავლებიდან — დასწრებული, დაუსწრებელი და საღამოს სწავლებიდან სწორედ დაუსწრებელი და სა- [illegible]

მოო მომზადება, უმაღლეს სკოლაში მივიზიდოთ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მშრომელთა ყველაზე ფართო წრე.

ახლა სტუდენტთა თითქმის ნახევარი ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს წარმოებას მოუწყვეტლივ. ახალ პირობებში დაუსწრებელი და საღამოს განათლება გადაჭრით უნდა გაუმჯობესდეს.

უწინარეს ყოვლისა საჭიროა დაუსწრებელი და საღამოს უმაღლესი სასწავლებლები, ფაკულტეტები და განყოფილებები დავაკომპლექტოთ ყველაზე კვალიფიციური პროფესორ-მასწავლებელთა კადრებით, განვამტკიცოთ მატერიალურ-ტექნიკური და ლაბორატორიული ბაზა დაუსწრებელ და საღამოს უმაღლეს სასწავლებლებში, მივცეთ სტუდენტებს საკმაო დრო პროგრამით განსაზღვრული ყველა დისციპლინის ღრმად შესწავლისათვის. საჭიროა მეტი რაოდენობით და სწრაფად გამოვცეთ სახელმძღვანელოები და ლექციები სტუდენტებისათვის. დაუსწრებელი და საღამოს განათლების საქმეში მონაწილეობა უნდა მიიღონ კინომ, რადიომ, ტელევიზიამ, რათა მათი დახმარებით გადაიცეს გამოჩენილ მეცნიერთა ლექციები კურსის რთულ ნაწილებში. საჭიროა მაქსიმალურად მივუახლოოთ დაუსწრებელი და საღამოს უმაღლესი სასწავლებლები სტუდენტთა მუშაობისა და საცხოვრებელ ადგილებს. უნდა მოვაწყოთ მთელი რიგი ზონალური პოლიტექნიკური დაუსწრებელი ინსტიტუტები, განსაკუთრებით ურალში, ციმბირსა და შუა აზიაში.

უმაღლესმა სკოლამ უნდა იკისროს აგრეთვე იმ სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების ამოცანა, რომლებსაც უკვე აქვთ უმ- [illegible]

მსმენელები არ იყვნენ მოწყვეტილი მუშაობას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თეზისების საფუძველზე და იმ წინადადებებზე დაყრდნობით, რომლებიც წამოყენებულია თეზისების განხილვის მსვლელობაში, სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტრომ შეიმუშავა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების სისტემის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს სწავლის შეერთებას მწარმოებლურ შრომასთან. მუშაობას მოწყვეტით და მუშაობას მოუწყვეტლივ სწავლის პერიოდების მონაცვლეობის ტიპები, ასეთი პერიოდების თანამიმდევრობა და ხანგრძლივობა სხვადასხვანაირი იქნება, სპეციალობის, სტუდენტთა შემადგენლობისა და მთელი რიგი სხვა ფაქტორების მიხედვით.

ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტები, როგორც წესი, პირველ ორ წელიწადს ისწავლიან წარმოებას მოუწყვეტლივ საღამოს ან დაუსწრებელი განათლების სისტემით. შემდეგ მოეწყობა დასწრებული სწავლება. უფროს კურსებზე სტუდენტები 6-12 თვის განმავლობაში კვლავ იმუშავებენ უმცროსი ტექნიკური პერსონალის საშტატო თანამდებობებზე წარმოების მართვისა და ორგანიზაციის ჩვევების მისაღებად, შეისწავლიან ამ დროს მთელ რიგ სპეციალურ საინჟინრო დისციპლინებს. სურვილისამებრ სტუდენტებს შეუძლიათ გაიარონ უმაღლეს სასწავლებელში სწავლების მთელი კურსი წარმოებას მოუწყვეტლივ — საღამოს ან დაუსწრებელი სისტემით.

იმასთან დაკავშირებით, რომ სწრაფად ვითარდება მეცნიერება და ტექნიკა, მთელ რიგ საინჟინრო [illegible]

(დასასრული მე-3 გვერდზე)

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

# უმაღლესი განათლების შესახებ

### ვ. პ. ელიუტინის მოხსენება

(დასასრული)

რთული თეორიული დისციპლინების ციკლს, აგრეთვე გადიან დიდ ლაბორატორიულ პრაქტიკას, მიზანშეწონილია პირველ ორ-სამ წელიწადს მოეწყოს სწავლება წარმოებას მოწყვეტით. ამის შემდეგ სტუდენტები ერთი წლის განმავლობაში იმუშავებენ საშტატო თანამდებობებზე საწარმოებში, ლაბორატორიებსა და საცდელ-საკონსტრუქტორო ბიუროებში.

სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მომზადება უნდა წარმოებდეს ინსტიტუტებში, რომლებიც შექმნილია მსხვილი საბჭოთა მეურნეობების ბაზაზე და რომლებსაც აქვთ მძლავრი სანიმუშო სასწავლო მეურნეობანი, კარგი ლაბორატორიები და პრაქტიკული მუშაობის ყველა სხვა პირობა. სტუდენტებმა თვითონ უნდა მოუარონ ცხოველებს, შეაკეთონ და მართონ მანქანები, თესონ, მოიყვანონ და აიღონ მოსავალი.

საუნივერსიტეტო, ჰუმანიტარული და პედაგოგიური განათლების გარდაქმნის დროს აგრეთვე საჭიროა დავუკავშიროთ სწავლება პრაქტიკას, წარმოებას.

დიდ ყურადღებასა და მოწონებას იმსახურებს წინადადება მონათესავე უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების გაერთიანების შესახებ და სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლებისა და შესაბამისი საბჭოთა მეურნეობებისა და საცდელი სადგურების გაერთიანების შესახებ.

ხელოვნების დარგის სპეციალისტთა მომზადების საფუძველი უნდა გახდეს განათლების სალამოს სისტემა. ასეთი სისტემა დიდ შესაძლებლობებს სახავს იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ მშრომელთა ფართო მასების სწავლება, გამოვავლინოთ და განვავითაროთ ხალხის ნამდვილი ტალანტები. სამედიცინო ინსტიტუტებში უნდა შევარჩიოთ უწინარეს ყოვლისა ახალგაზრდობა, რომელმაც პრაქტიკულად იმუშავა როგორც მომსახურე პერსონალმა სამედიცინო და სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში. სწავლების პროცესში სამედიცინო ინსტიტუტების სტუდენტები სისტემატურად გაივლიან პრაქტიკას სამედიცინო დაწესებულებებში.

მწარმოებლურ შრომასთან სწავლების შეერთების კარგი ფორმა უნდა იყოს ქარხანა — უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი. შესაძლებელია ქარხნების — უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების ორგანიზაციის სხვადასხვა გზა. ერთ-ერთი გზაა მოცემული უმაღლესი სასწავლებლის ან ფაკულტეტის კოოპერირება მსხვილ შესაბამისი პროფილის მსხვილ საწარმოსთან ან რამდენიმე საწარმოსთან. ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებლებში საჭიროა მოეწყოს სამრეწველო საწარმოები, საწარმოო საამქროები და ექსპერიმენტული სახელოსნოები, რომლებიც პროდუქციას გამოუშვებენ სტუდენტთა ძალებით.

ახლა შექმნილია უმაღლესი სასწავლებლების მუშაობის გარდაქმნის გეგმის პროექტი იმ ანგარიშით, რომ ეს გარდაქმნა დაიწყოს 1959 წლიდან და დამთავრდეს სამი-ხუთი წლის განმავლობაში.

შემდეგ მომხსენებელი ლაპარაკობს იმაზე, რომ საჭიროა უმაღლეს სასწავლებლებში მიღების სისტემის გარდაქმნა. უმაღლეს სასწავლებლებში მიღებისას უპირატესობა მიეცემათ მათ, ვისაც ექნება პრაქტიკული მუშაობის სტაჟი. უკვე მიმდინარე წელს ახლად მიღებულ სტუდენტთა 70 პროცენტი მუშაობს ან მუშაობდა სახალხო მეურნეობაში. საშუალო სკოლის გარდაქმნის შემდეგ ეს პროცენტი გადიდდება. ნიჭიერი ქალიშვილებისა და ჭაბუკების უფრო სრული გამოვლინების მიზნით მომწიფდა იმის საჭიროება, რომ რიგი ცვლილებები შევიტანოთ საკონკურსო შესასვლელი გამოცდების წესში.

შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ უმაღლესი განათლების სისტემის გარდაქმნა შეხამებულ იქნება უმაღლესი სასწავლებლების როლის ზრდასთან მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის განვითარებაში. უმაღლეს სკოლაში მუშაობს 130 ათასზე მეტი პროფესორი და მასწავლებელი — ჩვენი ქვეყნის ყველა მეცნიერის ნახევარი. საჭიროა კიდევ უფრო განმტკიცდეს პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის კავშირი საწარმოებთან.

შეეხო რა საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტთა მომზადებას, ამხ. ელიუტინი ამბობს, რომ არსებული სისტემა არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. სწავლის პროცესში ტექნიკუმების მოსწავლეები ნაკლებად მონაწილეობენ მწარმოებლურ შრომაში, არ იღებენ საკმაო საწარმოო ჩვევებს. ამასთან დაკავშირებით უნდა გაუმჯობესდეს საშუალო სპეციალური განათლების მთელი სისტემა, უფრო მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტთა მომზადება საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას.

საშუალო სპეციალური განათლების ახალი სისტემა შეიქმნება როგორც რვაწლიანი ზოგადსაგანმანათლებლო პოლიტექნიკური სკოლის ბაზაზე, ისევე სრული საშუალო სკოლის ბაზაზე. სწავლების პირველ ეტაპზე მოსწავლეები მიიღებენ პროფესიულ მომზადებას იმ მოთხოვნების მოცულობით, რომლებსაც უყენებენ საშუალო კვალიფიკაციის მუშას. ტექნიკუმები მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული წამყვან საწარმოებთან, თვით ტექნიკუმებში უნდა მოეწყოს საამქროები და სახელოსნოები, რომლებიც გამოუშვებენ მრეწველობის პროდუქციას მოსწავლეთა ძალებით. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმები უნდა შეიქმნას იმ მეურნეობათა ბაზაზე, რომლებშიც ყველა სამუშაოს თვით მოსწავლეები ასრულებენ.

მოხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო იმას, რომ საჭიროა სტუდენტთა შრომის უკეთ ორგანიზაცია წარმოებაში. წინასწარი გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ 1965 წელს უმაღლესი სკოლის ორ მილიონამდე სტუდენტი სწავლას შეახამებს საწარმოო მუშაობასთან. ვითვალისწინებთ რა ყოველივე ამას, ამბობს ამხ. ელიუტინი, საჭიროა შემოვიღოთ უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებისათვის საწარმოებში, დაწესებულებებსა და სხვა ორგანიზაციებში სამუშაო ადგილების მიცემის სახელმწიფო დაგეგმვა.

დასასრულ მომხსენებელი აცხადებს, რომ საყოველთაო სახალხო განხილვამ სავსებით დაადასტურა, რომ საჭირო და დროულია უმაღლესი სკოლის გარდაქმნა, რაც პარტიამ დასახა, და სწორია პრინციპები, რომლებიც საფუძვლად დაედო ამ გარდაქმნას. საბჭოთა უმაღლესი სკოლა, რომელიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გარდაქმნის თავის საქმიანობას, აღმოჩნდება იმ ამოცანების სიმაღლეზე, რომლებსაც სახავს მის წინაშე კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის ეტაპი.

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1958 წლის 24 დეკემბრის სხდომების შესახებ

24 დეკემბერს მოსკოვში მუშაობას განაგრძობდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია. დეპუტატები შეუდგნენ დღის წესრიგის მეორე საკითხის განხილვას — ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცება და ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარება.

### კავშირის საბჭოში

**კავშირის საბჭოს** სხდომაზე, რომელიც დილის 10 საათზე გაიხსნა კრემლის დიდი სასახლის სხდომების დარბაზში პალატის თავმჯდომარის მოადგილის დეპუტატ **ნ. უ. ბაზანოვას** თავმჯდომარეობით, კამათში პირველი გამოვიდა დეპუტატი **პ. მ. მაშეროვი** (ბელორუსიის სსრ).

საშუალო და უმაღლესი სკოლის გარდაქმნა, აცხადებს დეპუტატი, ჩვენს ხალხს მიაჩნია კომუნიზმის შემდგომი მშენებლობის პროგრამის განუყოფელ ნაწილად და მხურვალე მოწონებით ხვდება მას.

დეპუტატი მაშეროვი არ ეთანხმება მთელი რიგი მუშაკების წინადადებებს, რომლებიც მოითხოვენ, რომ სკოლებთან შეიქმნას ისეთი სასწავლო ბაზა, რომელიც შესაძლებელს გახდის სავსებით განხორციელდეს მოსწავლეთა საწარმოო სწავლება. ასეთი ბაზა, მისი აზრით, უნდა იქნას სამრეწველო საწარმოები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები.

დეპუტატი **მ. ს. გრეჩუხა** (უკრაინის სსრ) ლაპარაკობს ცხოვრებასთან განათლების მიახლოების პირველ ნაბიჯებზე, რომლებიც რესპუბლიკაში გადაიდგა. იგი ლაპარაკობს საწარმოო სწავლების უკრაინული სკოლების ოთხი წლის გამოცდილებაზე, სასკოლო საწარმოო ბრიგადების მუშაობაზე, მთელ რიგ უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო პროცესის ახალ ორგანიზაციაზე, სამედიცინო ინსტიტუტების სალამოს განყოფილებათა შექმნაზე.

დეპუტატი **ზ. ს. ომაროვა** (ყაზახეთის სსრ) ამბობს, რომ საბჭოთა ადამიანები ყველგან გამოთქვამენ დიდ კმაყოფილებას მოზარდი თაობისათვის კომუნისტური პარტიის ზრუნვის გამო.

ჩვენ მხარს ვუჭერთ თეზისებში ჩამოყალიბებულ წინადადებას, რომ საშუალო განათლება გაიყოს ორ ეტაპად, აცხადებს ამხ. ომაროვა.

ითვალისწინებს რა ყაზახეთის სპეციფიკურ თავისებურებებს, ორატორს მიაჩნია, რომ აქ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებთან ერთად უნდა იყოს 11 წლის საშუალო პოლიტექნიკური სკოლები საწარმოო სწავლებით. სპეციალური სკოლების შექმნა ნიჭიერი ბავშვებისათვის დეპუტატ ომაროვას მიზანშეწონილად არ მიაჩნია.

დეპუტატი **ნ. ფ. იგნატოვი** (მოსკოვის ოლქი) ამბობს, რომ თეზისებში სწორად არის დასმული საკითხი უმაღლეს სასწავლებლებში პირველ რიგში იმ ახალგაზრდობის მიღების შესახებ, რომელსაც აქვს წარმოებაში მუშაობის გამოცდილება.

დეპუტატმა **ფ. მ. ხალილოვამ** (აზერბაიჯანის სსრ), აღნიშნა რა, რომ რესპუბლიკის მშრომელები დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თეზისებს, დააყენა ეროვნულ სკოლებში ენების შესწავლის საკითხი. ჩვენ მიგვაჩნია, ამბობს იგი, რომ რუსული ენის სწავლება ეროვნულ სკოლებში სავალდებულო უნდა იყოს იმიტომ, რომ იგი არის ეროვნებათა შორის ურთიერთობის, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისა და მდიდარი რუსული და მსოფლიო კულტურის შეთვისების მძლავრი საშუალება.

— ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ უზბეკეთში მეცნიერული ცხოვრების აყვავებით, აცხადებს დეპუტატი **შ. მ. აბდულაევი**. რესპუბლიკამ უმაგალითო ნახტომი გააკეთა წინ კულტურულ განვითარებაში.

შემდეგ დეპუტატი ამბობს, რომ უზბეკეთის სოფლის საშუალო სკოლების უფროსი კლასების მოსწავლეების უმრავლესობა უკვე არის კოლმეურნეობათა წევრი, აქვს შრომითი წიგნაკები. სისტემატურ მონაწილეობას იღებს სოფლის მეურნეობის წარმოებაში. ამიტომ მიზანშეწონილია რესპუბლიკის სოფელ ადგილებში მომუშავე ახალგაზრდობისათვის შენარჩუნებულ იქნას საშუალო სკოლები. სწავლება იქ გაგრძელდეს 11 წლამდე. სწავლების უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საწარმოო პრაქტიკასა და შრომას.

დეპუტატი **მ. პ. ნიკულინა** (სტავროპოლის მხარე) ლაპარაკობს სკოლების საწარმოო ბრიგადების გამოცდილებასა და მათს აღმზრდელობით მნიშვნელობაზე. ლაპარაკობს რა მასწავლებელთა კადრების მომზადებაზე, ამხ. ნიკულინა ხაზგასმით აღნიშნავს მათთვის შრომითი წრთობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. მას მიაჩნია, რომ პედაგოგიურ უმაღლეს სასწავლებელში არ შეიძლება მიღებულ იქნან ადამიანები, რომელთაც მუშაობის გამოცდილება არა აქვთ.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე დეპუტატები **მ. პ. კოსტენკო** (ლენინგრადი), **ა. პ. ლუპანი** (მოლდავეთი), **ე. კ. ბერკლავი** (ლატვიის სსრ), **ი. ბ. აბაშიძე** (საქართველოს სსრ).

დეპუტატები და სტუმრები გულითადად მიესალმნენ დარბაზში მყოფ პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაციას საზოგადოების მთავარი გამგეობის თავმჯდომარის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის მარშლის ჩესლავ ვიცეხის მეთაურობით.

სხდომის ბოლოს თავმჯდომარემ წაიკითხა დეპუტატთა ჯგუფის შეკითხვა სსრ კავშირის მთავრობისადმი ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხზე და დეპუტატთა ჯგუფის შეკითხვა ბერლინის საკითხზე. მან განაცხადა, რომ შეკითხვები გადაეცემა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

### ეროვნებათა საბჭოში

კრემლის თეატრში 10 საათზე გაიხსნა **ეროვნებათა საბჭოს** სხდომა. თავმჯდომარეობს პალატის თავმჯდომარის მოადგილე დეპუტატი **კ. კონდუჩალოვა**.

—უკრაინაში, ისე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, ამბობს დეპუტატი **ს. ვ. ჩერვონენკო**, განათლების სისტემის გარდაქმნის პროგრამას მშრომელები შეხვდნენ ერთსულოვანი მოწონებით. სავსებით დაუჭირეს მხარი და მან საყოველთაო აღიარება პოვა.

დეპუტატს განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან საქმედ მიაჩნია ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის გაუმჯობესება. იგი გამოთქვამს მთელ რიგ კრიტიკულ შენიშვნებს სამეცნიერო პედაგოგიურ დაწესებულებათა მისამართით, რომლებიც ჯერ კიდევ არ აკეთებენ იმ მოვლენათა ღრმა ანალიზს, რაც სკოლის ცხოვრებაში, ახალგაზრდობის აღზრდაში ხდება.

სიტყვა ეძლევა დეპუტატ **ნ. დოდხუდოევს** (ტაჯიკეთის სსრ). განათლებისა და აღზრდის წამყვანი საწყისი, ამბობს იგი, უნდა გახდეს სწავლების მჭიდრო კავშირი წარმოებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან.

პარტიის XX ყრილობის შემდეგ, ამბობს ორატორი, ტაჯიკეთში შესრულდა ერთგვარი მუშაობა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის გასაუმჯობესებლად. 118 საშუალო სკოლაში მოწყობილია კლასები საწარმოო სწავლებით.

ამხ. დოდხუდოევი მოითხოვს, რომ საბავშვო სახლები სკოლა-ინტერნატებად გარდაიქმნას.

დეპუტატმა **ბ. კაზაკბაევამ** (ყირგიზეთი) თავის სიტყვაში განაცხადა, რომ რესპუბლიკაში არის შრომითი აღზრდისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის მოსწავლეთა მომზადების ერთგვარი გამოცდილება.

ამხ. კაზაკბაევა შემდეგ წინადადებას იძლევა ცენტრალიზებული წესით მოეწყოს ლაბორატორიული მოწყობილობისა და სასწავლო-თვალსაჩინო სახელმძღვანელოების წარმოება და სკოლების მომარაგება.

დეპუტატ **ჰ. კ. პირნს** (ესტონეთის სსრ) შეაქვს მთელი რიგი წინადადებანი, რომლებიც შეეხებიან უმთავრესად ეროვნულ სკოლებს. მას მიაჩნია, რომ რესპუბლიკის სკოლებში საჭიროა შემოღებულ იქნას სამი ენის — დედაენის, რუსული და ერთი უცხო ენის სავალდებულო სწავლება და პირველი ეტაპის სკოლებში ცხრაწლიანი სწავლების დაწესება დედაენისა და რუსული ენის, აგრეთვე რესპუბლიკის ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლებასთან დაკავშირებით.

ილაპარაკა რა ნაყოფიერ შრომასთან სწავლების შეერთების გამოცდილებაზე, დეპუტატმა **ი. ს. დოლიძემ** (საქართველოს სსრ) განაცხადა, რომ 1956-1957 სასწავლო წლიდან რესპუბლიკის 20 სკოლაში შეიქმნა საწარმოო სწავლების კლასები. მათთვის დაწესებული იყო პროფილები — სახარატო, ელექტროსაზეინკლო, ელექტროსამონტაჟო, სადურგლო-საავეჯე, სატრაქტორო, ჩაის აგროტექნიკისა და ტექნოლოგიის, მეცხოველეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის პროფილები. პროგრამები შედგენილია ისეთი ვარაუდით, რომ მოსწავლეებს სწავლის დამთავრების შემდეგ შეეძლოთ იმუშაონ მათ მიერ არჩეულ სპეციალობაზე.

ამ კლასების მუშაობის პრაქტიკამ ცხადყო, რომ მოსწავლეები გატაცებით ეუფლებიან არჩეულ სპეციალობას. შრომის გამაკეთილშობილებელი გავლენა დაეტყო სასწავლო და შრომითი დისციპლინის განმტკიცებას.

ეროვნებათა საბჭოს დილის სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე დეპუტატები **ნ. ჯანდილდინი** (ყაზახეთი), **ე. ი. აფანასენკო** (რუსეთის სფსრ განათლების მინისტრი), **მ. ა. გედვილასი** (ლიტვის სსრ), **ა. ი. პლეშე** (ლატვიის სსრ), საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ლ. კ. ბალიასნაია** და საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დეპუტატი **ლ. ნ. სოლოვიოვი**.

სხდომის ბოლოს თავმჯდომარემ — ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **კ. კონდუჩალოვამ** განაცხადა, რომ დეპუტატთაგან შემოვიდა ორი შეკითხვა. მან წაიკითხა დეპუტატთა ჯგუფის შეკითხვა ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხზე და დეპუტატთა ჯგუფის შეკითხვა ბერლინის საკითხზე. ეს შეკითხვები გადაეცემა სსრ კავშირის მთავრობას.

# ყაზახური ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის დასკვნითი კონცერტი მოსკოვში

დასკვნითი კონცერტი, რომელიც გაიმართა 23 დეკემბერს სსრ კავშირის დიდ თეატრში, დაიწყო პარტიისადმი მიძღვნილი სიმღერით, რომელიც შეასრულა ნაკრებმა გუნდმა სიმფონიური ორკესტრის აკომპანემენტით. დარბაზში ჟღერს ხმების მძლავრი აკორდი. სიმღერის სიტყვებში გამოთქმულია მადლობა პარტიისადმი, რომელმაც ყაზახი ხალხი გახადა თავისი მიწაწყლის ბატონ-პატრონი, ფართო გზა გაუხსნა მის შემოქმედებით ძალებს.

თითქოს ქალიშვილის ნაზი ხმააო, ისე ჟღერს კობიზი—ყელწვრილი ვიოლინო ფ. ბალგაევას ხელში. ველის ბალახთა სურნელებას გვაგრძნობინებს გულშიჩამწვდომი მელოდია „სარი-არკა“ („ყაზახური ველი“), რომელიც შეასრულა ყურმანღაზის სახელობის ხალხური საკრავების ყაზახურმა ორკესტრმა (დირიჟორი— ყაზახეთის სსრ დამსახურებული არტისტი შ. კაჯგალიევი). ორკესტრის აკომპანემენტით მღერის ლ. ჰამიდის „ბულბულს“ ყაზახეთის სსრ დამსახურებული არტისტი ბ. ტულეგენოვა.

მას სცვლის სახელმწიფო საგუნდო კაპელა (ხელმძღვანელი— დამსახურებული არტისტი გ. ვინოგრადოვა), ყაზახურ ხალხურ სიმღერას ასრულებს სახალხო არტისტი გ. ყურმანგალიევი.

ყურმანღაზის სახელობის ორკესტრი, რომელმაც შეასრულა გლინკას „ვალსი-ფანტაზია“, დუეტი ე. ბრუსილოვსკის ოპერიდან „დუდარაი“ დამსახურებული არტისტის რ. ჯამანოვას და სახალხო არტისტის ე. სერკებაევის შესრულებით, ვოკალურ-ქორეოგრაფიული სცენები, რომლებმაც გაგვაცნეს ცხოვრება და შრომა ყამირ მიწებზე — ყოველივე ეს მოწმობდა ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური ყაზახური საბჭოთა კულტურის უმაგალითო აყვავებას.

...სსრ კავშირისა და ყაზახეთის რესპუბლიკის დროშების ფონზეა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სკულპტურული პორტრეტი. კვლავ გაისმის 600-ხმიანი გუნდის სიმღერა. სიმღერის ბოლო სიტყვებს ტაშის გრიალი ჰფარავს. მოსკოველები ტაშით აჯილდოებენ სტუმრებს მათი სადღესასწაულო ხელოვნებისათვის.

ყაზახური ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის დასკვნით კონცერტს დაესწრნენ ამხანაგები **ა. ბ. არისტოვი, ნ. ი. ბელიაევი, ლ. ი. ბრეჟნევი, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. გ. იგნატოვი, ფ. რ. კოზლოვი, ო. ვ. კუუსინენი, ა. ი. მიქოიანი, ნ. ა. მუხიტდინოვი, მ. ა. სუსლოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი, პ. ნ. პოსპელოვი, დ. ს. კოროტჩენკო, ი. ე. კალნბერზინი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ვ. პ. მჟავანაძე, მ. გ. პერვუხინი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი**, აგრეთვე ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **დ. ა. კუნაევი** და ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ჟ. ა. ტაშენევი**. (საკდესი).

# წალკოტად ვაქციოთ ქართული მიწა!



ოცდახამი წლის წინათ ამ ადგილზე არც ერთი ხე არ იდგა. როცა ლაგოდეხის რაიონის სოფელ ყარსუბნის მშრომელებმა გზა გაიყვანეს, მის ორივე მხარეზე ალვის ხის ნერგები დარგეს. ისინი მარტო ამით არ დაკმაყოფილდნენ. ნერგებს თვალისჩინივით უვლიდნენ. მალე ხეებმა ტანი აიყარეს და ალვის ხეთა ფოთლების შრიალი კავკასიონის მთებიდან მონაბერმა ნიავმა სოფელზე გადაატარა, ყარსუბნელ მშრომელებს ამცნო, გარჯა დაგიფასდათო. ახლა ალვის ხეები 20 მეტრზე მეტი სიმაღლისაა. ხეივანი თითქმის სამ კილომეტრზეა გადაჭიმული.

ლაღად შრიალებენ ალვისხეები ყარსუბნის გზაზე და ამ ხეივანში გამვლელი ადამიანი ლოცავს მათ მადლიან მარჯვენას, ვინც ეს ხეები დარგო და ახარა.

ტექსტი და ფოტო ვ. გოზალიშვილისა.

* * *

## აი რას აკეთებენ შეჯიბრების ინიციატორები

ჯაფარიძელმა კოლმეურნეებმა და მოსწავლეებმა დიდი სამუშაოები დაიწყეს საკოლმეურნეო მინდვრებისა და ეზოების გამწვანებისათვის. ჯაფარიძის სკოლის პიონერებმა უკვე შეაგროვეს 4.000 ძირი ველური ნ ე რ გ ი, აქედან 3.000 ძირს ურგავენ კოლმეურნეობას, ხოლო 1.000 ნერგი ამშვენებს სასკოლო ეზოს და მის ირგვლივ ქუჩას; ამწვანებენ მახლობელი ტყის ნაპირებს.

წითელწყაროელებმა ვალდებულების შესასრულებლად 15 ნოემბრიდან დაიწყეს გამწვანების ორთვიური. სულ მათ უნდა დარგონ ნახევარი მილიონი ნერგი. შირაქში თოვლი ჩამოწვა, თითქოს უნდა გაძნელებულიყო ნერგების ორმოების ამოღება. მაგრამ ამას არ დაუბრკოლებია ადამიანთა ინიციატივა. ისინი თავდადებით შრომობდნენ და პირველ ათ დღეშივე ეს ვალდებულება სანახევროდ შეასრულეს.

წითელწყაროს რაიონის ყველა გ ზ ა ზ ე ჩ ა მ წ კ რ ი ვ დ ნ ე ნ ნერგები. ვალდებულების მიხედვით რაიონის მშრომელებმა 15 იანვრამდე 140 კილომეტრის სიგრძეზე უნდა გააშენონ ქარსაცავი ზოლები. ამ სამუშაოების შესრულება დღეისათვის უკვე დამთავრებულია 100 კილომეტრზე. ყველგან გამზადებულია ორმოები ნერგების ჩასარგავად.

პატრიოტულ თაოსნობას სოფელ გამარჯვების უდანოვის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელებმა პირველებმა დაუჭირეს მხარი. მათ სიტყვა საქმედ აქციეს. თოვლით დაფარულ მინდვრებზე ლამაზად მოჩანან ახლადჩარგული ნერგები. ამ კოლმეურნეობიდან ყოველდღიურად მრავალი ადამიანი გამოდის გამწვანების სამუშაოებში მონაწილეობის მისაღებად. ისინი რგავენ აკაციას, კაკალს, ცაცხვსა და სხვა ჯიშების ხეებს.

ვ. ხაჩუაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

## წყალტუბოელთა მაგალითი

**წყალტუბო.** (საკ. კორ.). მნიშვნელოვანი სამუშაოები ხორციელდება კურორტ-ქალაქის მიდამოების გატყევებისა და რაიონის სოფლებში ტყეების აღდგენა-გაშენებისათვის. აღსანიშნავია, რომ 1955 წლიდან, როცა რაიონში სატყეო მეურნეობა შეიქმნა, დღემდე 530 ჰექტარი ტყე გაშენდა. დარგულია ორმოცდაათამდე ჯიშის მცენარე და ბუჩქი. ამასთან ტყის კულტურებთან ერთად აღნიშნული ფართობის 15 პროცენტი ხეხილს უკავია. სატყეო მეურნეობის კოლექტივმა (დირექტორი ე. მალანია) გუმბრის, ხომულის, ყუმისთავისა და ცხუნკურის კირქვიან ნიადაგზე ნარგავთა 80 პროცენტის გახარებას მიაღწია.

წყალტუბოელი მეტყევეები მომავალი წლის გაზაფხულზე დამატებით გააშენებენ 200 ჰექტარ ტყეს, რისთვისაც წარმატებით მიმდინარეობს დარგვისწინა სამუშაოები. დაპლანტაჟებულია ნიადაგი და უკვე ამოღებულია 100 ათასი ორმო. ამასთან სატყეო მეურნეობამ 8 ჰექტარზე მოაწყო სკოლა-სანერგე, ხოლო 1,2 ჰექტარზე გააშენა ძვირფასი ხის ჯიშების სანერგე. ამ შემოდგომაზე სანერგეებში და მუდმივ ფართობებზე დაითესა დიდძალი წაბლი და იმერული მუხის რკო.

სატყეო მეურნეობის კოლექტივი, კურორტ-ქალაქისა და რაიონის საკოლმეურნეო სოფლების მშრომელები ერთობლივ ღონისძიებებს ახორციელებენ იმისათვის, რომ მწვანე სამოსელში გახვიონ წყალტუბო, როგორც ჯანმრთელობის დაცვის საკავშირო კერა და გაატყეონ მისი მიდამოები.

## ნაძვი ტყის მშვენებაა

საქართველო ცნობილია თავისი მდიდარი ბუნებით და საწარმოო რესურსებით. მაგრამ ნათქვამია, „ზღვა კოვზით დაილევაო“. ამ მდიდარ ბუნებას დაზოგვა და გაფრთხილება ესაჭიროება.

მაგრამ დღევანდლამდე ჩვენს ამ სიმდიდრეს ხშირად დაუნდობლად ან ზოგჯერ მტრულადაც ვეპყრობოდით, რაც, რა თქმა უნდა, ჩვენს ულამაზეს ბუნებას დიდ ზიანს აყენებდა. წლების განმავლობაში ახალწლის დღესასწაულისათვის ჩვენს ტყეებში იჭრებოდა ასეულ ათასობით ახალგაზრდა ნაძვისხე, რითაც ძლიერ ზიანდებოდა ჩვენი ნაძვნარები.

უაღრესად დროული და მისასალმებელია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ ამ ცოტა ხნის წინათ მიღებული დადგენილება წიწვიანი ჯიშის კორომებსა და მწვანე ნარგავებში საახალწლო ნაძვისხის დამზადების აკრძალვის შესახებ. ეს **იმას ნიშნავს, რომ ყოველწლიურად დაღუპვას გადაურჩება 60.000 ცალი ნაძვისხე, რაც დაახლოებით 30-60 ჰექტარ ტყეს შეადგენს. როგორც ცნობილია, თვითეული ჰექტარის გატყევების სამუშაოებისათვის საჭიროა 4-5 ათასი მანეთი. თუ თვითეული ორნახევარმეტრიანი ნერგის ღირებულებას 20-25 მანეთს ვიანგარიშებთ, ყოველი ჰექტარის გატყევება 30-40 ათასი მანეთი ჯდება, ხოლო ეს თანხა 30-60 ჰექტარზე გადაანგარიშებით მილიონობით მანეთს შეადგენს. აი რამდენი თანხა დაეზოგება სახელმწიფოს!**

ჩვენი ბუნების დაცვა — ეს მეტად კეთილშობილური საქმე — მარტო მეტყევეებისა და აგრონომების სამსახურებრივი მოვალეობა როდია. ამ საქმეს უნდა ემსახურებოდნენ ყოველი მოქალაქე, მოხუცი თუ ახალგაზრდა, მოსწავლეები, კომკავშირელები, პიონერები.

**ვ. მათიკაშვილი,**
სატყეო ინსტიტუტის განყოფილების გამგე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბუნების დაცვის კომისიის წევრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საზღვარგარეთ

## ორი სამყარო, ორი ბიუჯეტი

### გენერალი ჰოუდსი მხოლოდ მთვარეს ვერ სწვდება!

### მზარდი უკმაყოფილება ფრანკოს რეჟიმის გამო

### ინგლისური „ვულკანი“ თურქეთში

## «ეკონომიკის აღმავლობის ბიუჯეტი»

### უცხოეთის პრესის გამოხმაურება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის შესახებ

**ლონდონი**, 23 დეკემბერი. (საკდესი). სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის ა. გ. ზვერევის მოხსენებამ სსრ კავშირის 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ინგლისში. ინგლისის წამყვანი გაზეთები უაღრესად თვალსაჩინო ადგილას დიდრონი სათაურებით ბეჭდავენ მოხსენების შინაარსს.

საბჭოთა სახელმწიფო, წერს ინგლისელ მშრომელთა გაზეთი „დეილი უორკერი“, გეგმავს ასიგნებათა ახალ გადიდებას სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის. ბიუჯეტი, წერს გაზეთი, ითვალისწინებს თავდაცვის ხარჯების შემცირებას და ასიგნებათა გადიდებას საბინაო მშენებლობისათვის, მრეწველობაში კაპიტალდაბანდებისათვის. „ამრიგად, — აღნიშნავს იგი, — თავდაცვის ხარჯების შემცირების ტენდენცია, რაც საბჭოთა სახელმწიფოს დამახასიათებელი ნიშანი იყო უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში, შენარჩუნებულია ახლანდელ ბიუჯეტშიც“.

ცნობა ფინანსთა მინისტრის ა. გ. ზვერევის მოხსენების შესახებ წამყვანი თემაა გავლენიანი ბურჟუაზიული გაზეთის „ტაიმსის“ ფურცლებზე, რომლებიც განკუთვნილია უცხოეთის ინფორმაციისათვის. გაზეთი სათაურში ხაზს უსვამს თავდაცვის ხარჯების შემცირებას, რაც გათვალისწინებულია ბიუჯეტით. „ტაიმსი“ სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტს მიუძღვნის სარედაქციო სტატიას. „რუსეთის 1959 წლის ბიუჯეტი, — წერს გაზეთი, — ეკონომიკის აღმავლობის პოლიტიკას ასახავს... ბიუჯეტი ნათელყოფს, რომ ამჟამად რუსეთში ხდება გაცილებით უფრო სწრაფი ტექნიკური პროგრესი, ვიდრე სადმე დასავლეთში“.

ლაპარაკობს რა განათლებისა და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მუშაობის გაფართოებისათვის ასიგნებათა უზარმაზარი გადიდების შესახებ, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტით, გაზეთ „ნიუს ქრონიკლის“ მიმომხილველი ფორესტი წერს: „რუსეთი, დგას რა რაკეტული საუკუნის ზღურბლზე, აპირებს 1959 წელს თითქმის იმდენივე დახარჯოს განათლებაზე, რამდენიც თავდაცვაზე“. მიმომხილველი აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბიუჯეტის დამახასიათებელი ნიშანია „თავდაცვის ხარჯების ზედიზედ მეოთხე შემცირება.“

ამრიგად, ბურჟუაზიული პროპაგანდისტებიც კი, რომლებმაც ხელი გაიწაფეს იმ ზღაპრებში, რომ საბჭოთა კავშირი ისწრაფვის „მსოფლიო ბატონობა მოიპოვოს“ ნებსით თუ უნებლიეთ იძულებული არიან აღიარონ საბჭოთა კავშირის 1959 წლის ბიუჯეტის პროექტის მშვიდობისმოყვარული ხასიათი.

**პარიზი**, 23 დეკემბერი. (საკდესი). ცნობებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის შესახებ დღეს ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავიათ პარიზის პრესის ფურცლებზე. გაზეთები დიდ ყურადღებას აქცევენ სსრ კავშირის 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვას სესიაზე. თითქმის ყველა გაზეთი, რომლებიც საკმაოდ დაწვრილებით ცნობებს ათავსებენ სესიის მუშაობის შესახებ, ყურადღებას აქცევს საბჭოთა კავშირის თავდაცვის ხარჯების ერთგვარ შემცირებას და ამავე დროს იმ სახსრების მნიშვნელოვან გადიდებას, რომელნიც გამოყოფილია საბინაო მშენებლობისა და განათლებისათვის. გაზეთი „კომბა“ სათაურში აღნიშნავს საბჭოთა კავშირში „ხარჯების გადიდებას მეცნიერებისა და კულტურისათვის“.

**ბონი**, 23 დეკემბერი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის პრესა დიდ ყურადღებას უთმობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიას, რომელიც მოსკოვში დაიწყო.

გაზეთებმა დღეს გამოაქვეყნეს ცნობები სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის ა. გ. ზვერევის მოხსენების შესახებ და ამ მოხსენების გამო კამათის შესახებ. ბონის გაზეთმა „გენერალ-ანცაიგერმა“ დაბეჭდა ცნობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გახსნის შესახებ სათაურით: „მოსკოვი ამცირებს ხარჯებს მეცნიერებისათვის“. გაზეთ „შტუტგარტერ ცაიტუნგში“ ცნობა დაბეჭდილია სათაურით: „მოსკოვის მზარდი კაპიტალდაბანდებანი“. გაზეთი „ზიუდდოიჩე ცაიტუნგი“ ყურადღებას აქცევს, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტით მცირდება სამხედრო ხარჯები.

**დელი**, 23 დეკემბერი. (საკდესი). დღეს ინდოეთის ცენტრალური გაზეთები დიდ ყურადღებას უთმობენ სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გახსნას.

ბეჭდავენ რა პირველ გვერდზე ცნობებს, რომ სესიამ დაიწყო მუშაობა და სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრმა ა. გ. ზვერევმა გააკეთა მოხსენება 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, გაზეთები ბეჭდავენ ამ ცნობებს დიდი სათაურებით, ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ 1959 წლის ბიუჯეტი იმ სამშვიდობო პოლიტიკის გამოხატულებაა, რომელსაც საბჭოთა კავშირი ახორციელებს.

გაზეთი „ჰინდუსტან ტაიმსი“ ცნობას სსრ კავშირის 1959 წლის ბიუჯეტის შესახებ ბეჭდავს დიდი სათაურით: „რუსეთი ნაკლებ თანხებს ხარჯავს თავდაცვისათვის. ახალი ბიუჯეტი აღემატება შარშანდელ ბიუჯეტს. ბიუჯეტის სახსრების უდიდესი ნაწილი მოხმარდება მეცნიერებას და განათლებას“

## საბჭოთა კავშირ-იტალიის სავაჭრო ურთიერთობის გამო

მოსკოვში გაიმართა საბჭოთა კავშირ-იტალიის სავაჭრო მოლაპარაკება. ეს მოლაპარაკება, რომელიც ურთიერთგაგების სულისკვეთებით მიმდინარეობდა, წარმატებით დამთავრდა იმით, რომ 22 დეკემბერს ხელი მოაწერეს ოქმს სსრ კავშირსა და იტალიას შორის 1959 წელს საქონელბრუნვის შესახებ.

საქონელბრუნვა ორივე ქვეყანას შორის მომავალ წელს გათვალისწინებულია 600 მილიონ მანეთისაზე მეტი ოდენობით, რაც ერთიორად და უფრო მეტია მიმდინარე წელს მოსალოდნელ საქონელბრუნვაზე.

ოქმის შესაბამისად დიდდება იტალიიდან საბჭოთა კავშირში სამრეწველო მოწყობილობის მიწოდება, კერძოდ გათვალისწინებულია მიწოდებულ იქნას მოწყობილობა მეტად მტკიცე კორდის ბოჭკოს წარმოებისათვის, მძლავრი მაცივარი დანადგარები, ქიმიური მრეწველობის მოწყობილობა, აგრეთვე პრეციზიული ლითონდასამუშავებელი ჩარხები, მსუბუქი, კვებისა და მრეწველობის სხვა დარგების მოწყობილობა. გარდა ამისა, იტალია სსრ კავშირს მოაწვდის შავი ლითონების ნაგლინს, დიდი დიამეტრის მილებს გაზსადენისათვის, კაბელს, შტაპელის ბოჭკოს, ხელოვნური აბრეშუმის ნართს და სხვა საქონელს.

შესაბამისად გადიდდება საბჭოთა საქონლის მიწოდება საბჭოთა კავშირიდან იტალიაში. ამ საქონელთა შორის იქნება ნავთობი და ნავთობის პროდუქტები, სამასალე მერქანი, დახერხილი მასალები, ცელულოზა, ანტრაციტი და ქვანახშირი, მარცვლეული და სხვა საქონელი.

## საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა

ამა წლის 20 დეკემბერს ვარშავაში მუშაობა დაამთავრა საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის კომისიის მეთოთხმეტე სესიამ.

სესიაზე განხილულ იქნა საწარმოთა და დაწესებულებათა მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და გაფართოების საკითხები, განხილულ და მოწონებულ იქნა საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების თანამშრომლობის სამუშაო გეგმები.

სესიის პერიოდში საბჭოთა დელეგაციის წევრებმა გაიცნეს ვარშავის, კრაკოვის, ოსვენციმის, კატოვიცის, კენძეჟინისა და ლოძის მთელი რიგი სამრეწველო საწარმოების მუშაობა.

## მშვიდობის ბიუჯეტი

**ბუქარესტი**, 23 დეკემბერი. (საკდესი). ბუქარესტის ყველა დღევანდელი ცენტრალური გაზეთი თვალსაჩინო ადგილას და დიდი სათაურებით ბეჭდავს ანგარიშს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის შესახებ, რომელიც გუშინ გაიხსნა.

კომენტარს უკეთებს რა სესიაზე სსრ კავშირის 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და სსრ კავშირის 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების საკითხის განხილვას, გაზეთი „სკინტეია“ წერს, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი კვლავ არის ზრუნვა მშრომელი ადამიანისათვის. ბიუჯეტი გამოხატავს საბჭოთა კავშირის გულდამშვიდებულ რწმენასა და ძლიერებას, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, სახელმწიფო ბიუჯეტის ციფრები ასახავენ საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობის პოლიტიკას, მის ღონისძიებებს, რომელთა მიზანია საბჭოთა ხალხის ცხოვრებისა და კულტურული დონის ამაღლება და მთელი სოციალისტური ბანაკის განმტკიცება.

## სამხედრო ხარჯების შემდგომი გადიდების გეგმები ამერიკის შეერთებულ შტატებში

**ვაშინგტონი**, 23 დეკემბერი. (საკდესი). თეთრმა სახლმა გააკეთა განცხადება ამერიკის შეერთებული შტატების 1959-1960 საფინანსო წლის ბიუჯეტის შესახებ.

შემოსავლის გადიდების მიზნით, ნათქვამია განცხადებაში, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა აპირებს გაადიდოს საფოსტო გამოსაღები და ბენზინის გადასახადი, აგრეთვე შემოიღოს მომხმარებლების ზოგიერთი დამატებითი გადასახადი სახელმწიფო მომსახურებისათვის. თეთრი სახლი ამტკიცებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ბიუჯეტი სხვა ამოცანების გადაჭრასთან ერთად ხელს შეუწყობს „ამერიკის იმ ვალდებულებათა შესრულებას, რომლებსაც მას აკისრებს ხელმძღვანელი როლი მსოფლიოში“.

ასოშეიტედ პრესის სააგენტო აღნიშნავს, რომ, როგორც ფიქრობენ, 1959-1960 საფინანსო წლის სამხედრო ხარჯები შეიძლება გადიდდეს მიმდინარე საფინანსო წელთან შედარებით 1.200.000.000 დოლარით და რომ ისინი შეადგენენ ბიუჯეტის საგასავლო ნაწილის მთელი თანხის ნახევარზე მეტს.

## თურქეთის არმიის ხელახალი შეიარაღება

**სტამბოლი**, 23 დეკემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ხავადისი“ იუწყება, შესაბამისად ორმხრივი სამხედრო შეთანხმებისა, რომლის დადებაც თურქეთის მთავრობას განზრახული აქვს უახლოეს მომავალში შეერთებულ შტატებთან, თურქეთის არმია აღიჭურვება შორი მოქმედების რაკეტებით, აგრეთვე რადარულ დანადგართა ფართო ქსელით. რეაქტიული ავიაგამანადგურებლები, რომლებითაც ახლა შეიარაღებულია თურქეთის სამხედრო-საჰაერო ძალები, შეიცვლება ახალი ტიპის ავიაგამანადგურებლებით. ამერიკის სახსრებით ინგლისში შეისყიდიან თურქეთისათვის რამდენიმე ტიპის ბომბდამშენებს, მათ შორის „კანბერას“ და „ვულკანს“.



## ამერიკელი გენერლის მკვეხარა განცხადება

**ბონი**, 23 დეკემბერი. (საკდესი). ევროპაში ამერიკის შეერთებული შტატების სახმელეთო ჯარების მთავარსარდალმა ამერიკელმა გენერალმა ჰოუდსმა გააკეთა მკვეხარა სომარი განცხადება. როგორც დპა-ს სააგენტო გადმოგვცემს, ეს გენერალი ცინიკურად აცხადებს თავის 1958 წლის ანგარიშში, რომელიც გუშინ ამერიკის ჯარების შტაბმა გამოაქვეყნა ჰაიდელბერგში, რომ „მთვარეზე ექსპედიციის გარდა, ჩვენ ყველაფრისათვის მზად ვართ“. ჰოუდსი თავის ანგარიშში აღნიშნავს, რომ ამერიკის ჯარებმა, რომლებიც განლაგებული არიან დასავლეთ გერმანიაში, საფრანგეთსა და იტალიაში, მიმდინარე წლის ნახევარი მოანდომეს წვრთნას ატომური და რაკეტული იარაღის ხმარებაში, რის შედეგადაც ამერიკის ჯარების ნაწილების ნახევარი, საჭირო შემთხვევაში, შეიძლება მზად იყოს სომრად 30 წუთის განმავლობაში.

როგორც სააგენტოს ცნობიდან გამომდინარეობს, ჰოუდსი იკვეხნიდა, რომ ამა წლის დამდეგს ამერიკის სამხედრო სარდლობამ ევროპაში შექმნა „მომაკვდინებელი“ რაკეტული ბაზების რკალი.

## ტერორი ესპანეთში

**ლონდონი**, 23 დეკემბერი. (საკდესი). ფრანკისტული ხელისუფლები ესპანეთში ცდილობენ ჩაახშონ პოლიტიკური ტერორის დახმარებით მზარდი უკმაყოფილება ფრანკოს რეჟიმის გამო. გაზეთ „დეილი ტელეგრაფის“ მადრიდელი კორესპონდენტის ცნობით, 22 დეკემბერს მადრიდში გაასამართლეს ასტურიის მეშახტეთა გაფიცვის 32 მონაწილე, რომლებიც მოითხოვდნენ ხელფასის გადიდებას. გაფიცვის მონაწილეთა „საქმეს“ განიხილავდა სამხედრო ტრიბუნალი.

კორესპონდენტის ცნობით, ყველა ბრალდებულს, ერთის გარდა მიესაჯათ პატიმრობა 2-დან 20 წლამდე ვადით. 20 წლის პატიმრობა მიესაჯა ი. კ. დიასს, რომელმაც განაცხადა, რომ იგი არის კომუნისტური პარტიის წევრი.

## ფულისა და ნივთების ლატარიის მოგებათა ტირაჟი

გუშინ თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის დარბაზში დაიწყო ფულისა და ნივთების მე-2 ლატარიის მოგებათა ტირაჟი.

დილის სრულ 10 საათზე შემოდიან ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის წევრები. დარბაზი სავსეა ქალაქის საწარმო-დაწესებულებათა წარმომადგენლებით. მოგებათა ტირაჟს ხსნის სატირაჟო კომისიის თავმჯდომარე — მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. გ. ვაშაკიძე.

ტირაჟის ჩატარების ტექნიკის ახსნის, კომისიის წევრთა მიერ ბილეთების გადათვლის, ვაზნებში ჩაწყობისა და სატირაჟო ბორბლებში ჩაყრის შემდეგ კომისიის წევრები იკავებენ თავიანთ ადგილებს. იწყება ტირაჟი. ბორბლებიდან ბილეთებს იღებენ კოჯრის საბავშვო სახლების პაწია აღსაზრდელები — გოგონები და ბიჭები.

ერთ-ერთი პირველი დიდი მოგება იყო 5.000 მანეთი. ერთიმეორეზე მიყოლებით ცხადდება მოგებანი, მათ შორის ავტომანქანები „ვოლგა“, „მოსკვიჩი“, მოტოციკლები, მოტოროლერები, საწოლი ოთახის გარნიტურები, მაცივრები, საკერავი მანქანები, პიანინო, აკორდეონი და სხვ. გამოცხადდა 10.000, 5.000 და 1.000-მანეთიანი რამდენიმე მოგება. ზოგიერთი სერიის ყველა ნომერს ხვდა მოდელის ფეხსაცმელი, საათები, საწოლის გადასაფარებლები და სხვ.

ტირაჟის მიმდინარეობის გადაცემა წარმოებს რადიოთი. დღეს გათამაშება გრძელდება.

* * *

**სურათზე**: ტირაჟის გათამაშების დარბაზში. ბავშვი სატირაჟო ბორბლიდან იღებს მორიგ ბილეთს.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

## ბოლივიის კულტურის მოღვაწეები საქართველოში

მესამე დღეა საქართველოში იმყოფებიან ბოლივიის კულტურის მოღვაწეები — შრომის სამართლის პროფესორი, ქალაქ პოტოსის უნივერსიტეტის რექტორი აბელარდო ვილალპანდო და ისტორიის პროფესორი, ქალაქ კოჩაბამბის უნივერსიტეტის კულტურის განყოფილების დირექტორი ედუარდო ოკამპო. ისინი სსრ კავშირში სტუმრად არიან უცხო ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის მოწვევით.

ბოლივიის კულტურის მოღვაწეები ეცნობიან ქართველი ხალხის ცხოვრებას, მის ისტორიულ და კულტურულ ძეგლებს. მათ დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი, იყვნენ საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში. სტუმრები შეხვდნენ ქართველ მწერლებს. 21 დეკემბერს ისინი ბათუმში გაემგზავრნენ. (საქდესი).

## უძლიერესთა შეხვედრების წინ

დღეს თბილისის სახელმწიფო ცირკში გაიმართება მიმდინარე სასპორტო სეზონის ერთ-ერთი საინტერესო ასპარეზობა — სსრ კავშირისა და საქართველოს ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა თავისუფალ ჭიდაობაში.

საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში გამოვლენ: უმჩატეს წონაში — ი. კარავაევი (ბელორუსია), მჩატე წონაში — ი. ზამიატინი (ლენინგრადი), ქვემსუბუქ წონაში — ნ. მუშეგიანი (ერევანი), მსუბუქ წონაში — ლ. სალიმულინი (უკრაინა), ქვესაშუალო წონაში — გ. ნებიერიძე (უკრაინა), საშუალო წონაში — ნ. აქსიონოვი (ბელორუსია), ქვემძიმე წონაში — ა. ალბული (ლენინგრადი), მძიმე წონაში — ბ. კულაევი (რსფსრ).

საქართველოს მოჭიდავეთა ნაკრების გუნდის შემადგენლობაში იქნებიან — მ. ცალქალამანიძე, ვ. არსენიანი, ვ. ბალავაძე, გ. სხირტლაძე, გ. გობეჯიშვილი და სხვ.

# ლიტერატურა და ხელოვნება

## ვლადიმერ ნემიროვიჩ-დანჩენკო

### დაბადების 100 წლისთავის გამო

მოსკოვის სამხატვრო თეატრის პირველობა მთელ მსოფლიოში უდავოა. არც ერთ თეატრს არც ერთ ქვეყანაში არ მიუღწევია ხელოვნების ისეთი მწვერვალებისათვის, როგორსაც სამხატვრო თეატრმა მიაღწია. სამხატვრო თეატრი მთელი ეპოქაა ხელოვნებაში. და დღეს მთელი საბჭოთა კავშირი აღნიშნავს ამ თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებლის ვლადიმერ ნემიროვიჩ-დანჩენკოს დაბადების 100 წლისთავს.

ვლადიმერ ნემიროვიჩ-დანჩენკო დაიბადა 1858 წელს ქალაქ ოზურგეთში. საშუალო განათლება მიიღო თბილისის მაშინდელ პირველ გიმნაზიაში. მოწაფეობიდანვე მან დიდად შეიყვარა თეატრი და სცენისმოყვარეთა სპექტაკლებში იღებდა მონაწილეობას. მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკო-მათემატიკურ ფაკულტეტზე სტუდენტად ყოფნისას, ის თეატრებთან არ წყვეტს კავშირს და ჟურნალ „ბუდილნიკში“, გაზეთებში „რუსკი კურიერ“ და „ნოვოსტი დნია“ ათავსებს თეატრალურ მიმოხილვებს და რეცენზიებს. რუს რევოლუციურ-დემოკრატთა პროგრესული იდეების გავლენით ყალიბდება ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს თეატრალური მსოფლმხედველობა. მისი რეცენზიები თავისი მიზანდასახულობით და სიმძაფრით ყველას ყურადღებას იქცევენ. მცირე თეატრის ხელოვნების თაყვანისმცემელი დიდი მსახიობების მარიამ ერმოლოვას, გ. ფედოტოვას და ალექსანდრე ლენსკის ნიჭით მოხიბლული ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკო ხედავს, რომ თეატრის მოხელეთა წყალობით სახელოვანი მცირე თეატრი ჩიხში მოემწყვდა. უიდეო, უშინაარსო პიესებით დანაგვიანდა რეპერტუარი, დიდი გასაქანი მიეცა სცენაზე შტამპს, ხელოვნება იყინებოდა და სათანადო დოსტაქარს ელოდა. და აი 1898 წელს ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკომ კ. სტანისლავსკისთან ერთად დააარსა სამხატვ-



ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკო

* * *

რო თეატრი, რომელმაც დიდი გარდატეხა მოახდინა ხელოვნებაში და თეატრები ახალი გზით წარმართა.

ვლადიმერ ნემიროვიჩ-დანჩენკოს, რომელიც ოფიციალურად თეატრის ლიტერატურულ ნაწილს განაგებდა, პირველობა ეკუთვნის სამხატვრო თეატრში ანტონ ჩეხოვის პიესების დადგმაში. პირველმა მან დაინახა ანტონ ჩეხოვის პიესებში ის ახალი, ნოვატორული ამბები, რაც ხაზინო თეატრებმა ვერ შეამჩნიეს. ალექსანდრეს თეატრში ხახტიკად დამარცხებულმა „თოლიამ“ სამხატვრო თეატრს დიდება მოუტანა და ამის ინიციატორი ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკო იყო. ვლადიმერ ნემიროვიჩ-დანჩენკომ კ. სტანისლავსკისთან ერთად დადგა ალექსანდრე გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“ და ნ. გოგოლის „რევიზორი“. ეს ორივე რუსული კლასიკური ქმნილებანი იდგმებოდა სახელოვან მცირე თეატრში და ადვილი არ იყო ამ დადგმაში რაიმე სიახლის შეტანა. სამხატვრო თეატრმა ეს შეძლო და ამაში დიდი დამსახურება მიუძღვის ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოსაც.

ა. პუშკინის „ბორის გოდუნოვის“, ა. ოსტროვსკის „ზოგჯერ ბრძენიც შეცდება“, ლევ ტოლსტოის „ცოცხალი ლეშის“ და მ. სალტიკოვ-შჩედრინის „პაზუხინის სიკვდილის“ დადგმით, ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკომ დიდი რეჟისორის სახელი დაიმკვიდრა.

დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ ახალი პერსპექტივები დაუსახა ხელოვნებას. ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკო საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღიდანვე ჩაება მუშაობაში. ის ამუშავებს დიდი თეატრის რეორგანიზაციის პროექტს, აქტიურ მონაწილეობას იღებს თეატრალურ ჟურნალ-გაზეთებში და მედგრად ებრძვის ყოველგვარ ანტიხალხურ მიმართულებას ხელოვნებაში — ფორმალიზმს, სიმბოლიზმს, და იცავს რეალიზმის პრინციპებს.

ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკომ 1919 წელს ჩამოაყალიბა სამხატვრო თეატრთან მუსიკალური სტუდია, რომელიც 1926 წლიდან მისი სახელობის მუსიკალურ თეატრად იწოდება.

მთავრობამ დიდად დააფასა ამ დიდი ხელოვანის მოღვაწეობა. მას მინიჭებული ჰქონდა სსრ კავშირის სახალხო არტისტის წოდება, ორჯერ იყო დაჯილდოებული სტალინური პრემიით, დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით და შრომის წითელი დროშის ორდენით. გარდაიცვალა 1943 წლის 25 აპრილს.

**შალვა დადიანი,**
საქართველოს სსრ სახალხო არტისტი.

## აზერბაიჯანული ფილმების ფესტივალი

სულ ცოტა ხნის წინათ ბაქოში დიდი წარმატებით ჩაიარა ქართული ფილმების ფესტივალმა, ხოლო 22 დეკემბერს ჩვენს დედაქალაქში დაიწყო აზერბაიჯანული ფილმების ფესტივალი.

ფესტივალი საზეიმო ვითარებაში გაიხსნა კინოთეატრ „ამირანში“. სტუმრებს გულთბილად მიესალმა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე ვ. ჭიაურელი.

აზერბაიჯანელ კინომუშაკთა სახელით სიტყვები წარმოთქვეს აზერბაიჯანის სსრ კულტურის სამინისტროსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველოს უფროსმა რ. რაგიმოვმა და მსახიობმა ნ. შამიკ-ოღლიმ. თბილისელმა პიონერებმა თაიგულები და თბილისის 1500 წლისთავის სამახსოვრო ნიშნები მიართვეს ძვირფას სტუმრებს.

ფესტივალის პირველ დღეს აჩვენეს ფილმი „შორეულ ნაპირებზე“, რომელიც ასახავს აზერბაიჯანელი ხალხის გმირის მეხტი ჰუსეინ-ზადეს გმირობას დიდი სამამულო ომის ფრონტებზე.

ფესტივალის დღეებში ნაჩვენები იქნება კიდევ ორი ფილმი „დედინაცვალი“ და „ჩრდილები მიხოხავენ“.

## ახალი წიგნები

**რაფაელო ჯიოვანოლი** — „სპარტაკი“ რომანი. თარგმანი ნ. ყიფიანისა. საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის გამომცემლობა. რედაქტორი ვ. ბეწუკელი. ტირაჟი 30.000. გვ. 536. ფასი 22 მან. 40 კაპ.

**ჰაინრიხ ჰაინე** — „ატა ტროლი“ — ზაფხულის ღამის ზღაპარი. თარგმანი აკ. გელოვანისა. საბლიტგამი. რედაქტორი გ. ნადირაძე. ტირაჟი 7.000. გვ. 124. ფასი 6 მან.

## ლატვიის სახვითი ხელოვნების გამოფენა

ლატვიელი ხალხის სახვითი ხელოვნება მდიდარი, მრავალფეროვანი და უძველესია. მაგრამ პირველი ლატვიელი პროფესიონალური ფერმწერლები და გრაფიკოსები მხოლოდ გასული საუკუნის მეორე ნახევარში გამოჩნდნენ.

ლატვიელი ხალხის ფუნჯის ოსტატების პროფესიონალურ დაოსტატებაში დიდი როლი შეასრულა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიამ. იქ აღიზარდნენ ისეთი გამოჩენილი მხატვრები, როგორიც იყვნენ კ. გუნი, ა. დაუგული, ი. ფედერსი, ა. ალკსნისი, ი. როზენტალი, ი. ვალტერი, ვ. პურვიტი და სხვ.

23 დეკემბერს საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერიის შენობაში საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, ლატვიის სსრ კულტურის სამინისტრომ, ლატვიისა და რუსული სახვითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმმა, საქართველოს სსრ მხატვართა კავშირმა და საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერიამ მოაწყეს ლატვიის სახვითი ხელოვნების გამოფენა. გამოფენა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა დ. ჩხიკვიშვილმა. სიტყვები წარმოთქვეს ლატვიის სსრ კულტურის მინისტრის მოადგილემ პ. ჩერკოვსკიმ, საქართველოს სახალხო მხატვარმა უ. ჯაფარიძემ და ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ქ. მაღალაშვილმა.

გამოფენაზე, რომელიც ერთ თვეს გასტანს, წარმოდგენილია ფერწერის, გრაფიკის, სკულპტურის, გამოყენებითი ხელოვნების სამას ორმოცდაათზე მეტი ექსპონატი.

* * *

**სურათზე**: გამოფენის ერთ-ერთი კუთხე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.



## „კომუნისტის“ მუშკორ-სოფლკორთა კაბინეტი

გაზეთ „კომუნისტის“ მუშა და სოფლის კორესპონდენტთა კაბინეტი 25 დეკემბერს დღის 5 საათზე გორის რაიონის სოფელ მეჯვრისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში აწყობს სოფლკორებთან და კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წევრებთან საუბარს თემაზე: „პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება და სოფლკორთა ამოცანები“.

* * *

26 დეკემბერს დღის 5 საათზე ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხნის მუშათა კლუბში მოწვეულია მუშკორთა და ქარხნის კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიის წევრთა თათბირი საკითხზე: „მზადება სკკპ XXI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობის შესახვედრად და მუშკორთა ამოცანები“.

რედაქტორი
**დ. მჟავანაძე**

## თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — კარმენ (მე-8 აბონ. მე-3 სპექტაკლი, ვ. ადამკიავიჩიუსის მონაწილეობით). მარჯანიშვილის სახელობის — ტაიფუნი, გრიბოედოვის სახელობის — გრიგალი, სომხური დრამის — ნამუსი (აბონ. № 5), რკინიგზელთა სახლი — სიმღერა თბილისზე (მუსიკალური კომედიის თეატრის სპექტაკლი), მოზარდ მაყურებელთა ქართული — ნაცარქექია (აბონ. № 44, 10 ს., აბონ. № 10, 4 ს.), მოზარდ მაყურებელთა რუსული — ჩიპოლინოს თავგადასავალი (აბონ. № 23, 24, 29, 4 ს.).

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-02, 3-82-05 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პრესის მიმოხილვის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, საილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-81-65

უე 07275 საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14. 2